კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მირიან ხვედელიანი

ვაჭრობა, ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდა (საქართველოს მაგალითზე)

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ემირ ეთერია, ეკონომიკის დოქტორი

თბილისი

2020

ანოტაცია

თემა აქტუალურია, რადგან საგარეო ვაჭრობა და ინვესტიციები წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს. თანამედროვე მსოფლიო ჩართულია საერთაშორისო ვაჭრობაში, რომელიც წარმოადგენს საერთო კეთილდღეობის ამაღლების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. მას წამყვანი როლი ეკისრება ქვეყნებს შორის ურთიერთობაში.

ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია რადგან, წარმოადგენს პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის გარანტს. ინვესტიცია ქვეყნისთვის სტაბილური შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. საქართველოს მიერ სწორად დაგეგმილ ინვესტიციას შეუძლია მინიმალური ძალისხმევით ქვეყნისთვის მაქსიმალური სარგებლის მოტანა.

ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის პოზიტიურ ცვლილებებს, რომელიც განაპირობებს ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე შექმნილი დოვლათის მოცულობის გადიდებას. ეკონომიკური ზრდა საქართველოს განვითარებისთვის აუცილებელ ფაქტორს წარმოაგენს, რაზეც მნიშვნელოვნად იქნება ქვეყნის მომავალი დამოკიდებული.

ნაშრომში განხილულია საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარეაბაში.

Annotation

Trade, investment and economical increase

(according to the example of Georgia)

MIRIAN KHVEDELIANI

The relevance of the topic is important because international trade, investment attraction and economic growth are the most important factors for countries that are focused on development and economic strength. The modern world is involved in international trade, which is an important tool for raising overall welfare. It plays a leading role in relations between countries.

Attracting investment is important for the country because it is a guarantee of political and economic stability. Investment is an important source of stable income for the country. Properly planned investment by Georgia can bring maximum benefits to the country with minimal effort.

Economic growth is a positive change in the country's economic situation, which has led to an increase in the amount of wealth created per resident in the country. Economic growth is a necessary factor for Georgia's development, on which the future of the country will be significantly depended.

The work discusses the role of international trade and investment in the country's economic development.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....5

თავი 1. ვაჭრობისა და ინვესტიციების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები.....10

1.1. ვაჭრობის თეორიული კონცეფციების შედარებითი ანალიზი.....10

1.2. ინვესტიციების თეორიული კონცეფციების თეორიული ანალიზი.....19

თავი 2. ვაჭრობის ინვესტიციებისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთმიმართება.....28

2.1. ვაჭრობის როლი ეკონომიკურ ზრდაში.....28

2.2. ინვესტიციების როლი ეკონომიკურ ზრდაში.....32

თავი 3. ვაჭრობის ინვესტიციებისა და ეკონომიკური ზრდის თავისებურებები საქართველოში.....40

3.1. საქართველოს საგარეო ვაჭრობა და ეკონომიკური ზრდა.....40

3.2. უცხოური ინვესტიციების დინამიკა ეკონომიკური ზრდა.....51

დასკვნა.....60

გამოყენებული ლიტერატურა.....62

შესავალი

თემის აქტუალობა: ქვეყნებს შორის ურთიერთობის, ყველაზე ადრეულ ფორმას, საეთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს. მის განვითარებას ხელი შეუწყო საერთასშორისო ურთიერთობის გაძლიერებამ. მზარდი ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში, უდიდესი როლი ენიჭება საერაშორისო ვაჭრობას ქვეყნის განვითარების პროცესში. სავაჭრო თეორიების უმეტესობა მიდის იმ დასკვნამდე, რომ ვაჭრობა წარმოადგენს ქვეყნების კეთილდღეობის ამაღლების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომლის დადებით მხარედ განიხილება წარმოებისა და მოხმარების მზარდი ეფექტურობა.

ვაჭრობა ეს არის ადამიანთა საქმიანობის სფერო, რომელიც ხორციელდება რაიმე ღირებულის ყიდვა-გაყიდვით. ვაჭრობის სფეროს შეიძლება წარმოადგენდეს შემდეგი სახის ღირებულება, როგორიცაა: საქონელი, მომსახურების სფერო, ფული, ინფორმაცია და ა.შ.

საერთაშორისო ვაჭრობაში მსოფლიოს ყველა ქვეყანა არის ჩართული, რადგან ფაქტიურად შეუძლებელია, რომელიმე მათგანი იყოს თვითკმარი და ყველა იმ ფაქტორის მწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს დამოუკიდებლად და გამართულად დარგების ფუნქციონირებას. შრომის საეთაშორისო დანაწილების პირობებში, ქვეყნებს ყოველთვის სჭირდებათ სხვადასხვა სახის რესურსების მომსახურების და სამომხმარებლო პროდუქტის იმპორტირება, რომელსაც მიმღები ქვეყნები უმეტესად აკომპენსირებენ ექსპორტიდან მიღებული შემოსავლით.

საქართველო ჩართულია აქტიურად საერთაშორისო ვაჭრობაში, სადაც ახდენს როგორც ექსპორტს, ისე იმპორტს. საგარეო ვაჭრობა საქართველოს ეკონომიკაზე დადებით გავლენას ახდენს. ვფიქრობ, რომ ექსპორტის ხელშეწყობა ქართულ ეკონომიკას გარკვეულ ბიძგს მიცემს, რაც თავის მხრივ აისახება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე. ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ინვესტიციები.

ინვესტიცია ეს არის ლათინური წარმოშობის სიტყვა და ეკონომიკრი თვალსაზრისით არის, კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება გარკვეულ ეკონომიკური საქმიანობაში, მოგების ან სოციალური ეფექტის მიღების მიზნით. ამ განმარტებას დროთა განმავლობაში სხვადასხვა მნიშვნელობები ემატებოდა, თუმცა იგი აღნიშნულით მოვიდა დღემდე.

ინვესტიცია თავისი არსით მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას, მაგალითად: ადგილის მიხედვით ორი სახისაა - ადგილობრივი ინვესტიცია და უცხოური ინვესტიცია.

ადგილობრივი ინვესტიციები მოცულობითია და ბაზრის დიდი ნაწილი უჭირავს, მიუხედავად ამისა, ყველა განვითარებული ქვეყანა დიდ დროს უთმობს უცხოურ ინვესტიციებს, რომლებიც თავის მხრივ იყოფა ორ მიმართულებად- პირდაპირ და პორთფელურ სეგმენტებად.

პირდაპირია ინვესტიცია, რომლის საკუთრების წილი მინიმუმ 10%-ია და ასევე ინვესტორს უფლებას აძლევს, დააწესოს გარკვეული კონტროლი კომპანიაში. პორთფელურად ითვლება ინვესტიცია, რომელიც აძლევს ინვესტორს გარკვეეულ შემოსავალს მაგრამ არ აძლევს მას კომპანიაზე კონტროლის მიმართულებას. აღნიშნული სახის ინვესტიციები, წარმოადგენენ მიმღები ქვეყნის განვითარების გარანტს და შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, გადამწყვეტ როლს თამაშობს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე.

საერთაშორისო ბიზნესისთვის საქართველო თავისი გეოპოლიტიკური თვალსაზრისით საინტერესოა, მიუხედავად ამისა გარკვეული პერიოდის განმავლეობაში, არ ხერხდებოდა ოპტიმალური ოდენობის ინვესტიციების შემოდინება, რასაც რეალურად ხელს უშლიდა, არაშესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, არასწორი სასამართლო პოლიტიკა, არაკვალიფიციური მუშახელი, არამყარი პოლიტიკური ვითარება და კონფლიქტური რეგიონების არსებობა.

საქართველოში წინა ათწლეულების შემდგომ შემოსული ინვესტიციები, ძირითადად მიმართული არის სამშენებლო ბაზრებზე, ენერგეტიკაში, კავშირგაბმულობაში, დამამუშავებელ მრეწველობაში, უძრავ ქონებაში, სასტუმროებსა და რესტორნებში, რაც განსაკუთრებით აქტუალური გახდა ტურიზმის განვითარებასთან ერთად.

ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკურ პოზიტიურ ცვლილებებს. იგი თავის არსში მოიცავს ეკონომიკის რაოდენობრივ მატებას, მთლიანი შიდა პროდუქტის ეკონომიკის ზრდას. ეკონომიკური ზრდის საზომად გამოიყენება, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის მატების წლიური მონაცემები და ერთ სულ მოსახლეზე შექმნილი დოვლათის ოდენობა. შესაბამისად ეკონომიკური ზრდა უზრუნველყოფს ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას.

საქართველოში ეკონომიკური ზრდის პროცესები, ბოლო ათწლეულებში არაერთგვაროვნად მიდიოდა, რაც ჩემი აზრით გამოწვეულია არასტაბილური პოლიტიკური ვითარებით. მიუხედავად იმისა რომ საქართველოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური უპირატესობა აქვს, თავისი სტრატეგიული და რეგიონალურ-გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე და აგერთვე ახლო ხელმისაწვდომობა საერთაშორისო ბაზრების გზაგასაყართან, რომელიც განაპირობებდა და ხელს შეუწყობდა საქართველო ჩამოყალიბებულიყო რეგიონის ეკონომიკურ ჰაბად, საქართველოსთვის რთული აღმოჩნდა ბაზარზე მორგებულ ეკონომიკაზე გადასვლა, თუმცა ბოლო ათწლეულის განმავლობაში, საქართველოს ეკონომიკამ განიცადა პოზიტიური ცვლილებები.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე საგარეო ვაჭრობისა და ინვესტიციების გავლენის ანალიზი. კვლევის მიზნიდან გამომდინარე ყურადღება გამახვილებულია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტაზე:

- ვაჭრობისა და ინვესტიციების თეორიული კონცეფციების ანალიზი;

- საერთაშორისო ვაჭრობაში საქართველოს როლის და ადგილის განხილვა-ანალიზი;
- საქართველოში შემოდინებული ინვესტიციების ანალიზი;
- საქართველოს ეკონომიკის მზაობის მიმოხილვა მზარდი საერთაშორისო ეკონომიკის პირობებში ინვესტიციების მოზიდვასთან და ექსპორტის ზრდასთან დაკავშირებით.
- საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულობის, ასევე ინვესტიციების მოცულობისა და მიზნობრიობასთან არსებული მონაცემების კვლევა-ანალიზი და შედეგების შეჯერება.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანს წარმოადგენს გლობალიზაციის პირობებში საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები და ინვესტიციები.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკა კერძოდ, საქართველოს ეკონომიკური ზრდის ფაქტორები.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი. ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ქართველი და უცხოელი მეცნიერების საბაზისო გამოკვლევები. დარგის მკვლევართა ნაშრომები, პუბლიცისტური ნამუშევრები, ასევე სტატისტიკურ-ანალიტიკური მონაცემები, რომელიც ეხება საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას, ექსპორტის ხელშეწყობის სახელმწიფო მხარდაჭერას, ინვესტიციების მოზიდვის პრობლემურ საკითხებს, აგრეთვე ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი ფაქტორების მიმოხილვას. კვლევის პროცესში გამოყენებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ასევე ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები. გამოყენებულია კვლების შემდეგი მეთოდები:

სისტემური ანალიზი. გამოიყენება მაშინ როდესაც ახდენენ საკვლევი ობიექტის გამოკვლევას კომპლექსურად, მასში მოიაზრებენ რთული ამოცანებისა და პრობლემების გადაწყვეტის მეთოდოლოგიას. იგი დაფუძნებულია კონცეფციებზე, რომელიც შემუშავებულია სისტემათა თეორიის ჩარჩოებში.

სტატისტიკური ანალიზი. ესაა მეთოდის სახეობა, რომელიც მიზნად ისახავს არსებული სტატისტიკური მონაცემების თავმოყრას, სისტემური სახის მიცემას, მის ანალიზს და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანას.

დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფების მეთოდი, აღნიშნული მეთოდი გამოიყენება, საკვლევი ობიექტის მიმართებაში, მოვლენათა დაკვირვების, არსებული მონაცემების და მოსაზრებების თავმოყრის და ლოგიკური კანონზომიერებით დაჯგუფებისას.

ლოგიკური დაკავშირება. წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფორმალური ლოგიკის გამოყენებას. იგი ლოგიკურად აკავშირებს ობიექტების ყველა არსებული თვისებების, კანონზომიერებებისა და ურთიერთობების ასპექტებს თეორიულად აღწერს.

რით განსხვავდება მოცემული სამაგისტრო ნაშრომი სხვებისგან. ნაშრომში შეფასებული და გაანალიზებულია ვაჭრობის და ინვესტიციების ძირითადი მიმართულებები. გამოკვლეულია ვაჭრობის შედეგად მიღებული დადებითი ფაქტორების ეფექტიანობა, ინვესტიციების ზემოქმედებით ეკონომიკურ ზრდაზე მიღებული დადებითი შედეგები. გამოტანილია კონკრეტული დასკვნები და შემუშავებულია გარკვეული მიმართულებები საგარეო ვაჭრობისა და ინვესტიციების ეფექტიანობის ამაღლებისთვის.

განხილულია ვაჭრობის და ინვესტიციების მოქმედების ეფექტები საქართველოს ეკონომიკურ ბაზარზე, განხილულია მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

თავი 1. ვაჭრობისა და ინვესტიციების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1. ვაჭრობის თეორიული კონცეფციების შედარებითი ანალიზი

საგარეო ვაჭრობა მრავალ საუკუნოვან ურთიერთობებს ითვლის. უცნობია თუ როდის მოხდა პირველი საგარეო ვაჭრობის ოპერაცია, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ეს მოხდა მაშინ, როდესაც ადამიანთა ცალკეულმა ჯგუფებმა შეძლეს ეწარმოებინათ იმ რაოდენობაზე მეტი პროდუქცია, რამდენიც მათთვის იყო საჭირო, შეიქმნა შესაძლებლობა პროდუქციის ურთიერთ გაცვლისა რამაც შემდგომი განვითარების შედეგად საგარეო ვაჭრობის სახე მიიღო. შემდგომ პერიოდში უკვე სახელმწიფოებიც ჩაერთვნენ რამაც საერთაშორისო ვაჭრობის ჩამოყალიბება და განვითარება განაპირობა.

საერთაშორისო ვაჭრობა განვითარდა მსოფლიო ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში, განსაკუთრებით XVI-XVIII საუკუნეებიდან. მისი განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის.

საერთაშორისო ვაჭრობაში დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანაა ჩართული, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს, იყოს ყველა იმ საწარმოო ფაქტორის მწარმოებელი, რომლითაც უზრუნველყოს საკუთარი წარმოება და მოსახლეობა. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში, ქვეყანას ყოველთვის სჭირდება რესურსების, სამომხმარებლო პროდუქციისა და მომსახურების იმპორტირება, უმეტესად საიმპორტო ხარჯების დაფარვის ძირითადი წყარო ექსპორტიდან მიღებული შემოსავლია.

ძლიერი და კარგად ორგანიზებული საგარეო ვაჭრობა, ქვეყნებს აძლევს შესაძლებლობას განავითაროს ექსპორტი, მოიზიდოს ინოვაციები და გახდეს უალტერნატივო მწარმოებელი რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამღლებას.

საერთაშორისო ვაჭრობა განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა და დაიყო შემდეგ სფეროებად:

- მომსახურებით საგარეო ვაჭრობა, რომელიც თავის თავში მოიცავს ტურისტულ სატრანსპორტო სადაზღვევო საფინანსო საკრედიტო და სხვა სეგმენტებს.
- ვალუტით ვაჭრობა რაც გულისხმობს, ერთი ქვეყნის ვალუტის გაცვლას სხვა ქვეყნების ვალუტაზე.
- ინტელექტუალური საკუთრებით ვჭრობა, რომელიც მოიცავს საავტორო, საპატენტო და სხვა უფლებებს.
- საქონლით ვაჭრობა, ესაა ნედლეულით რესურსებით პროდუქტებით

  ვაჭრობა.

საერთაშორისო ვაჭრობა, რომლებიც ქვეყნებს შორის სასაქონლო ნაკადების მოძრაობით განისაზღვრება, წარმოებასთან შედარებით, უფრო მაღალი ტემპებით იზრდება. კერძოდ, მსოფლიოს წარმოების ყოველ 10%-ით ზრდაზე საერთაშორისო ვაჭრობის 16% მოდის. ამით კი წარმოების განვითარების ხელშემწყობი პირობები იქმნება, და პირიქით, როცა ვაჭრობა ფერხდება, წარმოების განვითარებას საკმაოდ იკლებს [აბულაძე გ., საქართველოს საექსპერტო პოტენციალის ამაღლების გზები გლობალიზაციის პირობებში, თბ.2018. გვ 15]. საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის ყველაზე ადრეულ ფორმას წარმოადგენს. თანამედროვე მსოფლიოში მასზე საერთაშორისო ეკონომიკური ბრუნვის 80% მოდის.

კაპიტალისტური ურთიერთობების გაღმავებასთან ერთად, საერთაშორისო ვაჭრობამ განიცადა ევოლუცია და გაჩნდა ახალი შეხედულებები და დისკუსიები მისი განვითარების საქმეში.

საერთაშორისო ვაჭრობის პირველ ეკონომიკურ თეორიად მიჩნეულია მერკანტილიზმი, რომელიც წარმოიშვა ინგლისში, რადგან აღნიშნულ ქვეყანაში სიმდიდრედ მიჩნეული იქმნა ფასეულობები, რომელიც წარმოდგენილი იყო ოქროსა

და სხვა ძვირფასი ლითონების მოცულობით. მერკანტილიზმის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ოქროსა და ძვირფასი ლითონების შემოდინება ქვეყანაში, საგარეო ვაჭრობის მეშვეობით აქტიური სავაჭრო ბალანსის პირობებში. საგარეო სავაჭრო პოლიტიკა ორიენტირებული იყო ექსპორტის ყოველმხრივ წახალისებაზე და ხელშეწყობაზე. მერკანტილიზმი, ასევე გულისხმობს საგარეო ვაჭრობაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას, ანუ მკაცრი კონტროლის დაწესებას საერთაშორისო გაცვლის სფეროზე, რადგან მერკანტილისტები მიიჩნევდნენ, რომ საჭირო იყო რაც შეიძლება მეტი ოქროსა და ვერცხლის მოზიდვა ქვეყანაში, რადგან მსოფლიოში არსებობდა შეზღუდული რაოდენობის სიმდიდრე (ძირითადად ძვირფასი ლითონი, ოქრო, ვერცხლი და სხვა), ერთი რომელიმე ქვეყნის გამდიდრება შესაძლებელი იყო მხოლოდ სხვის ხარჯზე, ანუ მხოლოდ არსებული სიმდიდრის დადებითი სალდოთი გადანაწილებით, რომელშიც გადამწყვეტი როლი სწორედ საერთაშორისო ვაჭრობას უნდა შეესრულებინა. მერკანტილისტებმა უგულებელყვეს ადრეული მოსაზრებები, ფინანსურ მოგებაზე ორიენტირებულ საქმიანობაზე არსებული მკაცრი ეთიკურ-მორალური და რელიგიური შეხედულებები, რომლებიც მანამდე არსებულ ვითარებას ამძიმებდა და პირიქით, მათ სასარგებლოდ მიიჩნიეს სავახშო საბანკო საქმიანობა და სესხებისა და სასესხო პროცენტების თავისუფალი მიმოქცევა. შემდგომ პერიოდში მერკანტილიზმი ჩამოყალიბდა ორ მიმდინარეობად ესენია ადრეული და გვიანი მერკანტილიზმი.

ადრეული მერკანტილიზმის მიმდევრები სახელმწიფოს ურჩევდნენ მკაცრი მონიტორინგი განეხორციელებინა, რადგან შეფერხებულიყო ქვეყნიდან ძვირფასი ლითონების გადინება, შესაბამისად უცხო ქვეყნის ვაჭრებს სასტიკად ეკრძალებოდათ ქვეყნიდან კეთილშობილი ლითონების გატანა.

გვიანი მერკანტილიზმი ქვეყანაში კეთილშობილი ლითონის მომრავლების უზრუნველყოფას უკვე არა ადმინიტრაციული, არამედ ეკონომიკური საშუალებებით ცდილობდა. მაგალითად, აქტიური სავაჭრო ბალანსის, ანუ იმპორტთან შედარებით

ექსპორტის ზრდის უზრუნველყოფით და სხვ; [თეიმურაზ შენგელია, საერთაშორისო ბიზნესი, ლექსიების კურსი, გამომცემლობა უნივერსალი, თბ. 2011, გვ. 88-92].

ასევე გვიანი მერკანტილიზმის წარმომადგენელია თომას მანი რომელმაც წარმოადგინა მერკანტილიზმის ახალი მიმდინარეობა პროტექციონიზმი რომელიც გულისხმობდა ქვეყნის სამამულო ბაზრის დაცვას იმპორტის შემცირებით და ექსპორტის გაზრდით. რომელიც გულისხმობს იმპორტულ საქონელზე მაღალი საბაჟო ტარიფების და კვოტების დაწესებას და პირიქით ექსპორტს საგადასახადო შეღავათები და საექსპორტო სუბსიდიები ასევე სამამულო წარმოების სუფსიდირება.

მოგვიანებით პროტექციონიზმის წინააღმდეგ, ადამ სმიტმა წარმოადგინა აბსოლიტური უპირატესობის თეორია, სადაც იგი განმარტავდა რომ ქვეყანა ორიენტირებული უნდა ყოფილიყო, ისეთი საქონლის წარმოებაზე რომლის საწარმოებლადაც უპირატესობა ექნებოდა სხვა ქვეყანასთან მიმართებაში. ა. სმიტი განმარტავდა, რომ მსოფლიო ვაჭრობა ხელსაყრელია ყველა ქვეყნისათვის, აღნიშნავდა: ,,თუ რომელიმე სხვა ქვეყანას შეუძლია ჩვენი მომარაგება რაღაც საქონლით უფრო იაფ ფასებში, ვიდრე თავად შევძლებდით მის წარმოებას, ბევრად უმჯობესია შევისყიდოთ იგი მისგან ჩვენი საკუთარი სამრეწველო შრომის რაღაც ნაწილით, რომელიც განხორციელებულია იმ სფეროში, რომელშიც ჩვენ გარკვეულ უპირატესობას ვფლობთ— 9ავათნდილ ოქოცვარიძე, დალი ოქროცვარიძე, მაგდა ვადაჭკორია, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ. 2009, გვ 5)

ადამ სმიტის თეორიაში ყურადღება გამახვილებულია, ქვეყნის სიდიდის მნიშვნელობაზე. მისი აზრით, დიდი ფართობის მქონე ქვეყნებს შედარებით მცირე ფართობის მქონე ქვეყნებთან, უფრო მეტად შეუძლიათ თვითკმარი იყოს ეკონომიკური თვალსაზრისით, ვინაიდან მრავალფეროვანი კლიმატური და ბუნებრივი რესურსების დიდი პოტენციალი გააჩნიათ. ამასთან დაკავშირებით გასაზიარებელია ზოგიერთ მეცნიერთა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ადამ

სმითის დიდი ფართობის და ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყნების ეკონომიკური უპირატესობის თეორიის უტყუარობა საერთაშორისო ეკონომიკური პოზიციებიდან გამომდინარე, ზოგიერთ შემთხვევაში არასწორია, რადგან თუ ქვეყანას მომგებიანი გეოგრაფიული მდგომარეობა, ხელსაყრელი კლიმატური პირობები და მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები გააჩნია, ტერიტორიული სიმცირე შეიძლება მომგებიანიც კი იყოს.

მოგვიანებით ადამ სმიტის თეორია და იდეები განავითარა დევიდ რიკარდომ და ჩამოაყალიბა შეფარდებითი უპირატესობის თეორია. ამ თეორიის თანახმად, ვაჭრობა მომგებიანია აბსოლუტური უპირატესობის არარსებობის შემთხვევაშიც, კონკრეტულად მაშინ, თუ ქვეყნები სპეციალდებიან იმ საქონლით ვაჭრობაზე, რომელთა წარმოებაც მათ სხვა საქონელთან შედარებით ნაკლები დანახარჯებით შეუძლიათ.

რიკარდოს თეორიის მიხედვით, ყოველი ქვეყანა ცდილობს აწარმოოს და განახორციელოს საქონლის ექსპორტირება შეფარდებით ნაკლები დანახარჯებით. ეს საშუალებას აძლევს ქვეყანას, მოახდინოს იმ ფაქტორთა ექსპორტი, სადაც მას შეფარდებითი უპირატესობა აქვს. რიკარდოს თეორიამ შეძლო სრულყოფილი ასახვა ჰქონოდა 1930 წლამდე, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი მეცნიერი ცდილობდა მასში შესწორებები შეეტანათ.

დევიდ რიკარდოს თეორია საფუძვლად დაედო ჰექშერ-ოლინის თეორიას რომელიც იწოდება როგორც წარმოების ფაქტორთა თანაფარდობის თეორია აღნიშნული თეორიის თანახმად ნებისმიერი პროდუქციის წარმოებისას აუცილებელია სამი ფაქტორი: ანაზღაურება შრომისათვის, პროცენტი კაპიტალზე, სარენტო შემოსავლები მიწაზე მოცემული ფაქტორები ყველა ქვეყანას განსხვავებული ოდენობით გააჩნია და ერთგვაროვანი პროდუქციის საწარმოებლად ამ ფაქტორების სხვადასხვა დანახარჯებს ეწევა. წარმოების ფაქტორთა განსხვავებული ღირებულება ქვეყანაში იმ საქონლის

წარმოებას ასტიმულირებს, სადაც ამისათვის საჭირო ფაქტორები ჭარბი და იაფია“(გ. ერქომაიშვილი, გ. გრიგალიშვილი, დ. ნარმანია 2011).

წარმოდგენილი თეორია ახალი სიტყვა და წინ გადადგმული ნაბიჯი იყო მერკანტილიზმის შემდეგ, თუმცა ამერიკელმა მეცნიერმა ეკონომისტმა პოლ სამუელსონმა და ამერიკელმა მეცნიერ-ეკონომისტმა ვოლფგანგ ფრიდრიხ სტოპლერმა, განავითარეს ჰექშერ-ოლინის თეორია იმის შესახებ რომ თავისუფალ ვაჭრობას შეუძლია, მიგვიყვანოს წარმოების ფაქტორების ფასების შედარებით და აბსოლუტურ გათანაბრებამდე. იქმნება იდეალური სქემა, ქვეყნებში მაღლდება მწარმოებლურობა, ფართოვდება კონკურენცია.

ასევე, რაიმონ ვერნონმა ჩამოაყალიბა პროდუქტის საერთაშორისო სასიცოცხლო ციკლის ჰიპოთეზა, ხაზს უსვამს ინოვაციის როლს ვაჭრობში და პროდუქტის სასიცოცხლო ციკლს, ინტერნაციონალიზაციის საფეხურიდან სტანდარტიზაციამდე.

ვერნონის მიერ ჩამოყალიბებული პროდუქციის საციცოცხლო ციკლის ეტაპები შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად:

- დანერგვის ეტაპი, ესაა ადგილობრივი ბაზრების ათვისება გაჯერების პროცესი. დანერგვის ეტაპის საბოლოო დასკვნით ფაზაში, პროდუქცია იწყებს უცხოური ბაზრების ათვისებას.
- ზრდის ეტაპი რომლის დროსაც ტექნოლოგიური პროცესი იხვეწება, ხდება კაპიტალ დაბანდების ზრდა და მძაფრდება კონკურენცია და იწყება წარმოების საზღვარგარეთ ზრდა და განვითარება.
- სიმწიფის ეტაპი, რომლის დროსაც ხდება აღნიშნული პროდუქციით ჩანაცვლება ბაზარზე მანამდე არსებული ანალოგიური პროდუქციისა, რომელიც ძირითადად ფასმა უნდა განაპირობოს. საზღვარგარეთ წარმოების ზრდა იძლევა მასშტაბის ეკონომიის საშუალებას, რაც თავის მხრივ ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას და შესაძლებლობას ქმნის აღნიშნული

პროდუქციის წარმოება და გასაღება განხორციელდეს განვითარებად ქვეყნებში.

- დაქვეითების ეტაპი, ამ ეტაპზე გამოვლენილი კონკურენციული თუ ფასების ფაქტორების ზემოქმედება თანდათანობით ძლიერდება და საქონლის რეალიზაციის რაოდენობა მკვეთრად მცირდება, ამ ეტაპზე კომპანიები ატარებენ კვლევას და აანალიზებენ არსებულ ვითარებას, იღებენ გადაწვეტილებას უცვლელი სახით დატოვონ პროდუქცია შეცვალონ მარკეტინგული სტრატეგიები და მიდგომები, ან საერთოდ დატოვონ არსებული ბაზრები.

1991 წელს, მაიკლ პორტერმა ჩამოაყალიბა და გამოაქვეყნა ქვეყნების კონკურენტული უპირატესობის თეორია, რომელშიც განხილულია საერთაშორისო ვაჭრობის საკითხების კვლევის სრულიად ახალი მიდგომა, სადაც კონკურენციას ერთმანეთს არა ქვეყნები არამედ კომპანიები უწევენ. სადაც კომპანია მოიპოვებს და ინარჩუნებს კონკურენტულ უპირატესობას რაზეც ორი ფაქტორი მოქმედებს:

- პოზიცია რომელიც კომპანიას უჭირავს კონკრეტულ დარგში.
- დარგის სტრუქტურა და მახასიათებლები, რომელშიც ფირმა ახორციელებს საქმიანობას.

პორტერმა ასევე, გამოყო ოთხი მახასიათებელი ქვეყნებისთვის, რომლებიც აყალიბებენ გარემოს და გავლენას ახდენენ კომპანიის საერთაშორისო წარმატებაზე:

- ქვეყნის შიდა მოთხოვნის პარამეტრები.
- კომპანიის საქმიანობის მონათესავე და დამხმარე დარგების ეფექტურობა.
- სტრუქტურა და ბაზარზე არსებული კონკურენცია.
- ფაქტორული პარამეტრები.

აღნიშნული ფაქტორები გავლენას ახდენენ იმ გარემოს ჩამოყალიბებაში, რომელშიც კონკრეტული ქვეყნის ფირმები ვითარდებიან და ფუნქციონირებენ.

ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებაში, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ფართო გავრცელება ჰპოვა თავისუფალმა ეკონომიკურმა ზონებმა. თავისუფალი ეკონომიკური ზონები წარმოადგენენ ეროვნული ეკონომიკის კონკრეტულ ნაწილს, სადაც მოქმედებს შეღავათებისა და სტიმულირების ისეთი კონკრეტული სისტემა, რომელიც ქვეყნის დანარჩენ ნაწილებში არ გამოიყენება, როგორც წესი თავისუფალი ეკონომიკური ზონა წარმოადგენს განცალკევებულ გეოგრაფიულ ტერიტორიას. თავისუფალი ეკონომიკური ზონის შედარებით მარტივი განმარტებით იგი წარმოადგენს ქვეყნის ეროვნულ ტერიტორიას, სადაც მოქმედებს ქვეყნის საერთო ეკონომიკური პოლიტიკიდან განხვავებული, საშეღავათო საგადასახადო სისტემა (ხშირ შემთვევაში გადასახადის გარეშე).

თავისუფალი ეკონომიკური ზონების ეკონომიკა, ხასიათდება გახსნილობის მაღალი ხარისხით, რაც ხელს უწყობს უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვას.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა ხელს უწყობს დასაქმების ზრდას, ასევე სამრეწველო ექსპორტის ზრდას, რაც სავალუტო სახსრების მოზიდვის წყაროა აგრეთვე აღნიშნული ზონები განიხილება, წარმოების ახალი მეთოდების გამოცდის ადგილად , ეროვნული წარმოების ზრდის სტიმულად.

საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალური თეორიის მიმდევარნი მიიჩნევენ, რომ ქვეყნებმა უნდა განახორციელონ სამართლიანი და დისკრიმინაციისგან თავისუფალი შეღწევა ერთმანეთის ბაზრებზე. რადგან ქვეყნებმა უნდა შეეცადონ შეუქმნან სხვა ქვეყნებს ხელსაყრელი პირობები თავის ბაზრებზე შესაღწევად, შეამცირონ თავიანთი სავაჭრო ბარიერები, მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანხმებების გზით.

ზემოთ განხილული თეორიებიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოთა შორის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების ასპექტები და მიდგომები არ შეიძლება იყოს განხილული მხოლოდ ერთი თეორიული კონცეფციით

ან ერთი ფაქტორით, არამედ იგი წარმოადგენს ერთიან ერთმანეთზე მჭიდროდ გადაჯაჭვულ თეორიათა კომპლექსურ ნაკრებს, რომლის ფართოდ გაანალიზება და განხილვა დადებით შედეგს იძლევა სამომავლოდ, ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარების და ეკონომიკური კავშირების გაღრმავებისას.

1.2. ინვესტიციების თეორიული კონცეფციების თეორიული ანალიზი

ინვესტიცია ლათინური სიტყვაა და ეკონომიკური თვალსაზრისით, სხვადასხვა დარგის საწარმოში ფულის დაბანდებას ნიშნავს. დროთა განმავლობაში აღნიშნულმა სიტყვამ მნიშვნელობა არაერთხელ შეიცვალა და უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა დღევანდელი მნიშვნელობით.

ინვესტიცია ესაა ფულის გრძელვადიანი და ბანდება კონკრეტულ დარგში, ფინანსური მოგებისა და სოციალური ეფექტის მიღების მიზნით. ინვესტიციები ხელს უწყობენ საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, მონაწილეობენ წარმოების მოცულობის ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში. სახელმწიფოს კრიზისის პირობებში, ინვესტიციები წარმოადგენენ, ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას, სოციალური და საწარმოო პოტენციალის სტრუქტურულ გარდაქმნასა და მისი ბაზრისადმი დაქვემდებარებაში.

ინვესტიციების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, აუცილებელია: ინვესტიციების რაციონალური განაწილება დარგების, სექტორების, ეკონომიკური პრიორიტეტების მიხედვით, ინვესტიციური ციკლის სწორად წარმართვა, ინვესტიციური პროცესების გააქტიურება, აგრეთვე ინვესტიციური და ინოვაციური პროცესების ურთიერთდაკავშირება და სხვა.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ადგილობრივ ინვესტიციებთან შერწყმა, მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური ზრდის და სტაბილიზაციისთვის. ინვესტიცია, როგორც ეკონომიკური ასპექტი ასრულებს ძალიან დიდ როლს, რაც ხელს უწყობს ქვეყნის სამეწარმეო პოტენციალის ამაღლებას.

დაბანდების ადგილის მიხედვით, გამოყოფენ ორი სახის: ადგილობრივ და უცხოურ ინვესტიციას.

ადგილობრივ ინვესტიციებს ახორციელებენ რეზიდენტი პირები, ხოლო უცხოურ ინვესტიციებს არარეზიდენტი პირები.

შინაარსობრივად ინვესტიცია ორი სახისაა, ესაა კერძო და შერეული ტიპის. კერძო ესაა ადგილობრივი, არასახელმწიფო ინვესტიციები, რომლებიც ინვესტირებულია აღნიშნული ქვეყნების საზღვრებს გარეთ. შერეული ტიპის ინვესტიცია ესაა ერთობლივი (კერძო სახსრები და სახელმწიფო) ინვესტირება კონკრეტული ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

გამოყოფენ ინვესტიციების სხვდასხვა სახეს. ინვესტიციები ადგილის მიხედვით, არსებობს ორი სახის: პირველი ესაა ადგილობრივი ინვესტიცია. ადგილობრივ ინვესტიციას ბაზრის დიდი ნაწილი უჭირავს, ხოლო უცხოურ პირდაპირ ივესტიციას ნაკლები მოცულობა აქვს. მიუხედავად ამისა, ყველა განვითარებული ქვეყანა უდიდეს ყურადღება მაინც უცხოურ ინვესტიციებს უთმობს, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის საწარმოების მეტ ქმედითუნარიანობას და ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას. იგი თავის მხრივ იყოფა: პირდაპირ უცხოურ და პორთფელურ ივესტიციებად.

პირდაპირია ივესტიცია, რომელიც კაპიტალ დაბანდების შემდეგ, აძლევს ინვესტორს გარკვეულ სარგებელს და აგრეთვე ინვესტორის საკუთრების წილი კომპანიაში საკმარისია, მასზე გარკვეული კონტროლის დაწესებისთვის (მინიმუმ 10%). ხოლო ისეთი დაბანდებები, რომელთაც მოაქვს ინვესტორისთვის მოგება, მაგრამ არ ძლევს კომპანიის კონტროლის უფლებას, პორთფელურ ინვესტიციას უწოდებენ.

„პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებით ეფექტად განიხილება, მისი პოზიტიური გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, ეკონომიკური ფაქტორების მთლაინი პროდუქტიულობის და რესურსების ეფექტიანი გამოყენების ზრდის ხარჯზე. უცხოური ინვესტიციები ქვეყანაში, ზრდის კაპიტალის მოცულობას და ამ გზით, ხელს უწყობს გამოშვების ზრდას. იგი ასევე ხელს უწყობს მიმღები ქვეყნის

ეკონომიკის ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში საგარეო ვაჭრობის ზრდის ხელშეწყობით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის დასაქმებას და მნიშვნელოვანია ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისთვის. მაღალი პროდუქტიულობის გამო ხშრად ასეთი ტიპის დასაქმება, უფრო მაღალ ხელფასებსა და უკეთეს სამუშაო პირობებს გულისხმობს. ტექნოლოგიური ნოუ-ჰაუ და პროგრესული მენეჯმენტი გლობალურ ბაზრებზე ასეთი ტიპის წარმოების თავის დამკვიდრების საშუალებას იძლევა. “.

(https://forbes.ge/blog/214/pirdapiri-ucxouri-investiciebis-dadebiTi-da-uaryofiTi-Sedegebi)

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია იყოფა ორ ნაწილად, შემდგომი განსახილველი ფორმების მიხედვით : ბრაუნფილდი და გინფილდი.

ბრაუნფილდი ესაა ინვესტირების ისეთი სახე, როდესაც ინვესტიცია იდება უცხო კომპანიაში, რომელიც მოახდენს გარკვეული ახალი საქმიანობის წამოწყებას.

გრინფილდი არის პირდაპირი უცხური ინვესტიციის სახე, რომლის დროსაც ხდება ივნესტირება ქვეყნის გარეთ არსებული კომპანიის გასახსნელად.

მზარდი გლობალიზაციის პირობებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, სასიცოცხლო როლს ასრულებს ქვეყნების განვითარების პროცესში, იგი განსაკუთრებულ გავლენას ახდენს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის ზრდაზე. შესაბამისად განვითარებადი ქვეყნები, ხშირად საკმაოდ დიდ დათმობაზე მიდიან ინვესტიციების შემოდინების პროცესში, რაც აისახება საკანონმდებლო ცვლილებებისა თუ საგადასახადო შეღავათების დაწესება და სხვა ეკონომიკური პარამეტრების ცვლილება.

პირდაპირი უცხოური ინესტიცია დარგში ინვესტირების მხრივ იყოფა ორ ნაწილად: ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ინვესტიციებად.

ჰორიზონტალურია ინვესტიცია, რომელიც მიმართულია იმ დარგებში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს უცხოურ დარგებზე, ანუ ესაა უკვე არსებული დარგებისკენ მიმართული ინვესტიცია, რომელსაც გააჩნია თავისი დადებითი მხარეები. აღნიშნული დაბანდებით კომპანიები ინვესტიციების დროს, კომპანიის დანახარჯების შემცირებით ახდენს მასშტაბის ეკონომიას და ამავდროულად ზღუდავს სატრანსპორტო ხარჯებს, მასშტაბის ეკონომია თავის მხრივ უზრუნველყოფს, კომპანიის საფასო პოლიტიკა გახდეს გარგში კონკურენტუნარიანი ან საერთოდ უკონკურენტო.

ვერტიკალურია ინვესტიცია, რომელიც მიმართულია წარმოების დამხმარე დარგებში რა დროსაც კომპანიები საწარმოო პროცესს, რამოდენიმე ნაწილად ყოფენ და მიმართავენ მას სხვადასხვა ქვეყნებში. აღნიშნული ტაქტიკა გამომდინარეობს წარმოების პროცეში იაფი მუშა ხელის ჩართვის დადებით გავლენაზე.

ვერტიკალური უცხოური ინვესტიციები ორ ნაწილად იყოფა : რეგრესულ და პროგრესულ მიმართულებად.

რეგრესული - ეს ისეთი სახის ინვესტიციაა, რომლის დროსაც ქვეყნის გარეთ არსებული საწარმო ნედლეულს და პროდუქციის შექმნისთვის საჭირო მასალებს აწვდის პროდუქციის საბოლოო საწარმოს.

პროგრესული კი პირიქით, ისეთი სახის ინვესტიციაა, რომლის დროსაც სათაო ფილიალი ამარაგებს ნედლეულითა და სხვადასხვა მასალებით ქვეყნის გარეთ არსებულ საწარმოებს.

განარჩევენ აგრეთვე, ინვესტიციების შემდეგ ძირითად სახეობებს: რეინვესტირება, რეალური ინესტიციები, გრძელ ვადიანი, საშუალო და მოკლე ვადიანი, ვენჩურული და ფინანსური ინვესტიციებს რეინვესტირებას.

რეალური ინვესტიცია ესაა (ინვესტიციების რეალური ღირებულება) საინვესტიციო საქონლის ღირებულება (ღირებულება-ფასი) მოცულობა, საბაზო პერიოდის საბაზრო ფასებში, რაც ასახავს მათ ფიზიკურ (რეალურ) მოცულობაში ცვლილებებს და არ შეიცავს ინფლაციურ კომპონენტს.

რეალური ინვესტიციები ხასიათდება, კაპიტალიში ინვესტიციებს ძირითადი საშუალებების რეპროდუქციის, ინოვაციური არამატერიალური აქტივების ინვენტარის ზრდასა დასაწარმოს ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ინვესტიციის ობიექტების ან პერსონალის სამუშაო და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებით.

გამოყოფენ რეალური ინვესტიციების შემდეგ მიმართულებებს:

- საწყისი ინვესტიციები (წმინდა ინვესტიციები), რომლებიც მიმართულია საწარმოს შეძენის ან შექმნისთანავე.

- მოცულობითი ინვესტიციები, რომლებიც მიზნად ისახავს პროდუქტიული

წარმოების მატებას.

მოკლევადიანია ინვესტიცია, რომელიც ხასიათდება ერთ წლამდე ვადით, საწარმოს მოკლევადიანი ინვესტიციების საფუძველია მისი მოკლევადიანი ფინანსური ინვესტიციები.

საშუალოვადიანია ინვესტიცია რომელიც ხასიათება 1-3 წლის ვადით.

გრძელვადიანად განიხილება ინვესტიცია, რომელიც 3-5 წელზე ან მეტი ვადით ხასიათდება.

ინვესტიციები ასევე უცხოურ ბაზრებზე კონკრეტულ დარგებში განთავსების მიხედვით შეიძლება იყოს მწვანე და ყავისფერი.

„მწვანე დარგის ინვესტიციები ხორციელდება მაშინ, როდესაც დედა კომპანია ან მთავრობა ახალ საწარმოს იწყებს ახალი ობიექტების მშენებლობით ისეთ ქვეყანაში,

სადაც მისი კომპანიის სათავეა განთავსებული. არსებობს მრავალი მიზეზი იმისა, რის გამოც კომპანია გადაწყვეტს საკუთარი ახალი ობიექტის აშენებას, ვიდრე არსებულის ყიდვას ან იჯარას. ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ახალი დაწესებულება გთავაზობთ მაქსიმალურ მოქნილობას და ეფექტურობას პროექტის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. არსებული ობიექტი ხშირად აიძულებს კომპანიას შეცვალოს თანამედროვე დიზაინის საფუძველზე.

გარდა ამისა, საჭიროა ყველა კაპიტალური აღჭურვილობის შენარჩუნება. ახალი საშუალებები, როგორც წესი, გაცილებით იაფია შენარჩუნებული ვიდრე გამოყენებული ობიექტები. თუ კომპანიას სურს ახალი ოპერაციის რეკლამირება ან თანამშრომლების მოზიდვა, ახალი ობიექტები ასევე უფრო ხელსაყრელი იქნება (https://presmarymethuen.org/ka/dictionary/what-is-the-difference-between-a-brownfield-project-and-greenfield-projects/)

ყავისფერი ინვესტიცია ესაა ინვესტირების სახე, როდესაც ინვესტორი ყიდულობს არსებულ ობიექტს ახალი წარმოების დასაწყებად. ყავისფერი ინვესტიციის დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ საწარმოს შენობა უკვე აშენებულია რაც ნაკლებ დანახარჯებს და დროს, რომელიც უკვე აშენებული საწარმოს შენობის აშენებას დასჭირდებოდა. მისი უარყოფითი მხარე კი წარმოდგენილია შემდეგნაირად, რომ უკვე აშენებული შენობა, ზოგჯერ ვერ პასუხობს საწარმო პროცესის ტექნიკურ პარამეტრებს, რაც წარმოების სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ხელის შემშლელი ფაქტორი შესაძლოა გახდეს.

ვენჩურული ინვესტიცია ესაა ახალ ან დამწყებ საწარმოში, ახალ იდეაში ან წამოწყებაში ინვესტირება „ვენჩურულ ინვესტორთა მიზანი დამწყები, პერსპექტიული ახალგაზრდების აღმოჩენაა, მათ სტარტაპ კომპანიებში ფინანსების დაბანდება და გრძელვადიანი მოგების (საშუალოდ, 10 წელიწადი) გათვლა. რეალურად, ვენჩურული კაპიტალი პარტნიორობისგან უმნიშვნელოვანესი ფაქტორით განსხვავდება – ვენჩურული კაპიტალის კომპანიისთვის პრიორიტეტი

სტარტაპის იდეების, პროდუქტებისა და სერვისების საჭიროებაა. შესაძლებელია განვითარების არა მოცემულ ეტაპზე, არამედ სამომავლოდ, პერსპექტივაში. ინვესტირებული კომპანიის მიღწევებმა ინვესტორის საქმიანობა უნდა გაამარტივოს, გახადოს მოდერნიზებული, ხელი შეუწყოს ხარჯების შემცირებას, ან წარმოების პროცესს. რამდენ სფეროში მომუშავე ვენჩურული კაპიტალის კომპანიაც არსებობს, იმდენივე და მეტ სტარტაპს აქვს შანსი დაფინანსდეს და იდეები რეალობად აქციოს“ (https://www.entrepreneur.com/article/342906)

ფინანსური ინვესტიცია წარმოადგენს ინვესტიციის სახეს, როდესაც ინვესტირება ხდება ძირითადად ფასიან ქაღალდებში მოგების მიღების მიზნით.

„ფინანსური ინვესტიცია წარმოადგენს ინვესტიციას სხვადასხვა ფინანსური ინვესტიციის ინსტრუმენტებში, ძირითადად ფასიან ქაღალდებში, როგორც სტრატეგიული და ტაქტიკური ხასიათის დასახული მიზნების მისაღწევად.

ფინანსურ აქტივებში ინვესტიცია ხორციელდება საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის პროცესში, რომელიც მოიცავს საინვესტიციო მიზნების დასახვას, საინვესტიციო პროგრამის შემუშავებას და განხორციელებას“. (https://duf-obozrenie.ru/ka/elektronnye-platezhi/3-realnye-i-finansovye-investicii-realnye-i-finansovye-investicii-v.html)

ფინანსური ინვესტიციები იყოფა შემდეგ სახეობად:

- ობლიგაციები, აქციები, აგრეთვე სხვა ფასიანი ქარალდების მიერ როგორც სახელმწიფო ისე კერძო საწარმოს, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიერ გაცემული.
- დაბანდებული უცხოურ ვალუტაში.
- ინვესტირებული ადგილობრივ ან უცხოურ საბანკო დეპოზიტებში.

ფინანსური ინვესტიციები განსხვავებით სხვა ეკონომიკური ინვესტიციებისგან, არ საჭიროებს საწარმოო სიმძლავრის შექმნას და მის კონტროლს. შესაბამისად

ინვესტორმა წინასწარ იცის, რომ მის ინვესტიციებს თვითონ არ განკარგავს და მისი კომპეტენცის შემოიფარგლება, მხოლოდ ფასიანი ქაღალდების შესყიდვით. საფინანსო ინვესტირების პროცესი ნიშნავს უბრალოდ საკუთრების უფლების გადაცემას: ინვესტორი გადასცემს ფულზე საკუთრების უფლებას აძლევს ფულს და ამის სანაცვლოდ ღებულობს უფლებას მომავალ შემოსავალზე იძენს ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლებას.

ინვესტიციები განიხილება რისკის დონის მიხედვით. ინვესტიციის გაკეტება სხვადასხვა დარგებში თავის მხრივ დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან რისკების მიხედვით ივესტიციები იყოფა შემდეგ სახეობად:

- ინვესტიციები რისკის გარეშე. ესაა ინვესტიციის სახე რომელის ეფექტურობა ფაქტუირად უკონკურენტოა.
- დაბალ რისკიანი ინვესტიციები. ესაა ინვესტიცია, რომელიც ნაკლებ რისკიანობით და მარალი ეფექტიანობით გამოირჩევა.
- საშუალო რისკიანი ინვესტიცია, რომელიც გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული
- მაღალრისკიანია ინვესტიცია რომელიც ხასიათდება საკმაოდ დიდი საფრთხით თუმცა ინვესტიციის წარმატებით განხორციელების შემთვევაში მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა

ინვესტიციების მოზიდვის და სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიანობის მისაღწევად სერიოზული ყურადღების მიქცევას მოითხოვს ქვეყნის სასამართლო სისტემის გამართული და მიუკერძოებელი ფუნქციონირება, ასევე საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის დახვეწა და თანამედროვე მოთხოვნებთან ადაპტირება საკანონმდებლო და სასამართლო სისტემის ხარვეზების არსებობა, ინვესტორს იძულებულს ხდის მიმართოს სახემლწიფოს არაერთ სტრუქტურას, რაც თავის მხრივ რესურსისა და დამატებითი ხარჯების საჭიროებას გამოიწვევს. ხშირად მათი

სამართლიანი მოთხოვნების დაკამყოფილება ვერ ხერხდება, ამიტომ მათი საქმის განხილვა გადაწვეტა სასამართლო დარბაზიდან სახელმწიფო სტრუქტურაში გადაინაცვლებს ხოლმე, რაც დაუშვებელი და ცივილიზებული სამყაროსთვის მიუღებელ ფაქტს წარმოადგენს.

ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლისას ყურადღება უნდა მიექცეს მის უარყოფით მხარეებსაც, ინვესტიციების დეფიციტის პირობებში საბაზრო მექანიზმმა არ უნდა აქციოს მიმღები ქვეყანა, სხვა ქვეყნების სანედლეულო წარმოების დანამატად, აღნიშნული ფაქტის თავიდან აცილების მიზნით ინვესტიციო პოლიტიკის სწორად წარმართვა დაგეგმვაში უნდა მოხდეს სახელმწიფოს ჩარევა.

ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისას ერთერთი მთავარი მოთხოვნა უნდა იყოს, რომ საქართველომ შეინარჩუნოს კონტროლი საკუთარ ტერიტორიაზე და უცხოელი ინვესტორების დაშვებისა და ცალკეულ დარგებში ინვესტიციების განთავსებაზე. რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს, ქვეყნის ეკონომიკური და ეკოლოგიური სფეროს უსაფრთხოების შენარჩუნებას.

თავი 2. ვაჭრობის, ინვესტიციების და ეკონომიკური ზრდის ურთიერთმიმართება

2.1 . ვაჭრობის როლი ეკონომიკურ ზრდაში

საგარეო ვაჭრობა ეს არის, ექსპორტ-იმპორტის მოცულობითი ოდენობის მიმართება რომელის შედეგებიც, პირდაპირპროპორცუილად აისახება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე.

საგარეო ვაჭრობის ეფექტურობის მთავარ მაჩვენებელს, ქვეყნისთვის საგარეო სავაჭრო ბალანსი წარმოადენს. ქვეყნის მიერ შემუშავებული საგარეო ეკონომიკური ვაჭრობის პოლიტიკის უმთავრესი ამოცანაა, საგარეო ვაჭრობის ზრდა, რომელიც მიმართული იქნება იმპორტის ოდენობის გათანაბრებასთან ან ექსპორტ-იმპორტის დადებითი სალდოს შექმნასთან.

საექსპორტო შესაძლებლობის ეფექტური გამოყენების ხელსეწყობის აუცილებელი წინაპირობაა, არსებული ბუნებრივი, სასაქონლო და შრომითი რესურსების მიზანმიმართული და გეგმაზომიერი გამოყენება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, ახალი სავაჭრო კონტაქტების მოძებნა, უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა. იმპორტის განხორციელების პროცესში, უნდა გამოიკვეთოს პრიორიტეტული დარგები და მიმართულებები და უნდა მოხდეს ხელშემწყობი სტრატეგიების დასახვა.

საგარეო ვაჭრობის მოცულობის ზრდა და ექსპორტის მოცულობის ზრდა, ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ფინანსური რეზერვების მობილიზებას და სავალუტო სტაბილიზაციას. ასევე ხელს უწყობს, ადგილობრივ საწრმო პოტენციალის ზრდას, რაც თავის მხრივ განაპირობებს მოსახლეობის დასაქმების ზრდას, აუცილებელ იმპორტზე შიდა ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილებს, ჯანსაღი

კონკურენტული გარემოს ფორმირებს და ეკონომიკის მიმართულებათა სრულყოფას და იგი აჩქარებს, საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის სრულფასოვანი ინტეგრირების პროცესს. სავაჭრო ბალანსის ზრდა, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების დამახასიათებელი ნიშანია. იმპორტისა და სავაჭრო დეფიციტის ზრდაც, ეკონომიკის რეალიზაციის ამ ეტაპზე მოსალოდნელია. გამომწვევ მიზეზებად შემდეგი გარემოებები შეიძლება მივიჩნიოთ:

- დონორი ქვეყნების და საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციების ფინასური დახმარება. რომელიც 1995 წლიდან მცირდება, მიუხედავად ამისა ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის პირობებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მზარდი იმპორტის ზრდის შენარჩუნებას.
- ზრდადი ადგილობრივი შემოსავლები, რამაც განაპირობა შიდა მოთხოვნილებების სწრაფი ზრდა.
- ადგილობრივი წარმოების ზრდის შედარებით დაბალი ტემპები. ქართული საექსპორტო პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა, რაც მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებით, ერთეულ პროდუქციაზე მუშახელის სიჭარბით და ძირითადი ფონდების მაღალი ღირებულებით არის განპირობებული.

საქართველოს ეკონომიკის გარკვეული დარგები, რომელთა გამართულ მუშაობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საექსპორტო და იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოება, ამ დრომდე არასტაბილურად მუშაობს, რაც გავლენას ახდენს ექსპორტ იმპორტის მოცულობითი პარამეტრების ცვლილებაზე.

საქრთველოში დღესდღეობითაც არსებობს გარკვეული სექტორები, სადაც ქვეყანას აქვს საწარმოო პოტენციალის საკმაოდ დიდი რესურსი, აწარმოოს გარკვეული სახის პროდუქცია, მიუხედავად ამისა იმპორტი ჭარბობს აღნიშნულ ადგილობრივ

პროდუქტს. ეს იმ დროს, როდესაც ადგილობრივი ბაზრის გაჯერება სამამულო წარმოების საქონლით და იმპორტით შემცირება, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოების ოდენობასა და ხარისხზე.

კონკურენციის მნიშვნელობა საკმაოდ დიდ როლს თამაშობს საერთაშორისო ვაჭრობის იმ ფონზე, რომელიც ადგილობრივ წარმოებას აძლევს შესაძლებლობებს მიუხედავად წინააღმდეგობრივი ვითარებისა წარმოაჩინოს საკუთარი ეკონომიკური ძალა.

საერთაშორისო ვაჭრობაზე მოდის მსოფლიო ეკონომიკური ბრუბვის 80%, რომელშიც იგულისხმება, ქვეყნებს შორის ფულად ანაზღაურებადი სასქონლო ბრუნვის მთლიანი მოცულობა. საეთაშორისო ვაჭრობა, რომელიც დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, თავის თავში მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- საერთაშორისო ვაჭრობა ინტელექტუალური საკუთრებით.
- მატერიალური ნივთები, რომელიც სასაქონლო ბრუნვით ხასიათდება.
- მომსახურება, რომელიც აერთიანებს არასასაქონლო ვაჭრობის არაერთ მიმართულებას.

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები, ესაა ერთი სახელმწიფოს მხრიდან სხვა ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკაზე მიზანმიმართული ზემოქმედება, რომლის ძირითადი მიზნებია:

- საგარეო ვაჭრობის წყობისა და სტრუქტურის შეცვლა.
- ქვეყნის საციცოცხლო რესურსებითა და საქონლით უზრუნველყოფა.
- ექსპორტისა და იმპორტის ოდენობისა და მოცულობის ხარისხობრივ რაოდენობრივი ცვლილება.

- ქვეყნის შრომის საერთშორისო დანაწილებაში ჩართვის ხარისხი და ჩართულობის მიმართულებათა ცვლილება.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის, უმთავრეს ძირითად პრინციპს წარმოადგენს, ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ იქნა, როგორც სატარიფო პოლიტიკისა, ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რისი შედეგიც საქართველოს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა მსოფლიოში ერთ ერთ მოწინავე ადგილს იკავებს, რაც განაპირობებს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო გადასახადებს.

განხილული გარემოებებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოსთვის საგარეო ვაჭრობა და ვაჭრობის შედეგად მიღებული დადებითი სალდო, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის, რაც თავის მხრივ განაპირობებს შემდგომ წინსვლასა და განვითარებას.

2.2. ინვესტიციების როლი ეკონომიკურ ზრდაში

უცხოური ინვესტიციები პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე რაც მისი ეკონომიკური პარამეტრების ცვლილებით გამოისახება. ინვესტიციების გავლენის ასახვა, ასევე დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალსა და მოცულობაზე, ეკონომიკური საქმიანობის ხასიათსა და საბაზრო სტრუქტურის განვითარების დონეზე.

ინვესტიციების გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე ასევე დამოკიდებულია ინვესტორთა თავისებურებებზე, ინვესტიციების განხორციელების სფეროზე ინვესტიციათა მოცულობაზე და განხორციელების ფორმაზე.

ინვესტიციების მიმღებ ქვეყნებში ინვესტიციათა გავლენა აისახება შემდგომ ფაქტორებზე:

- ტექნოლოგიური სფერო, სადაც ინვესტიციები ხელს უწყობს, სფეროს გაძლიერებას და მოწინავე ტექნოლოგიების დანეგვას.
- ხელს უწყობს მეურნეობის, პროგრესულ ადგილობრივ და დარგების სტრუქტურიზაციას.
- აძლიერებს ქვეყანაში სართო ინვესტიციურ აქტივობას, რაც ხელს უწყობს ინვესტიციათა დამატებითი ოდენობის მოზიდვას.
- ზრდის რა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც ვლინდება ქვეყნის საექსპოეტო პოტენციალში დადებით გავლენას ახდენს საგადამხდელო და სავაჭრო ბალანსის მოცულობაზე.

ინვესტიციამ ზოგჯერ შესაძლოა დადებით მიზნები ვერ უზრუნველყოს და პირიქით იქცეს უარყოფით ფაქტორად.

„უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს დადებითთან ერთად შეიძლება ახლდეს არასასურველი პროცესებიც, რომელთა შორისაა გამოდევნის ეფექტი, რადგან უცხოური ფირმები მაღალკონკურენტუნარიანია.

გარდა ამისა, ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციები, თავისი ბუნებით, შიგა ბაზარზეა ორიენტირებული და ნაკლებად ჩართულია საექსპორტო საქმიანობაში, რასაც გრძელვადიან პერიოდში შეიძლება მოჰყვეს მიმღები ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის გაუარესება ფონდების რეპატრიაციის გამო. საქმე ისაა, რომ ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციები, ხშირ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფს ფულადი სახსრების შემოდინებას საექსპორტო საქმიანობიდან“ (დავით სიხარულიძე, ვახტანგ ჭარაია, უცხოური პირდაპირი ივესტიციები: თეორია და საქართველოს გამოცდილება, თბილისი 2018, გვ 98)

ქვეყნებში შესაძლოა იყოს ინვესტიციების დეფიციტი, რაც აბსოლუტურად ფარდობითია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და მოცულობისა და მას განსაზღვრავ ეკონომიკური სისტემა და ინვესტირების სფეროს სტრუქტურა.

ქვეყნების შიდა რესურსების დეფიციტის შემთხვევაში, მის შევსებას უზრუნველყოფს იმპორტი, რომელსაც შესაძლოა დადებითი გავლენაც ქონდეს ქვეყნის ეკონომიკაზე, მისი შემდგომი საბოლოო პროდუქტის ექსპორტის ხარჯზე.

სამამულო მეურნეობების თავისუფალ სფეროებსა და სივრცეებს, რომელსაც ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი კაპიტალი ავსებენ ინვესტორები, თუმცა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა შესაძლებელია ადგილობრივი კაპიტალის სიჭარბის შემთვევაშიც. დამატებითი უცხოური ინვესტიციები მიმღებ ქვეყანაზე დადებით გავლენას ახდენენ, რადგან ხდება ინვესტიციური რესურსების შევსება, რაც თავის მხრივ ხელს უწობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას.

ინვესტიციების დადებით შედეგებს შორის აღსანიშნავია:

- საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაცია.
- მენეჯმენტისა და მარკეტინგის სფეროში უცხოური გამოცდილების მიღება.
- ექსპორტის პოტენციალის და ქვეყნის ფულადი შემოსავლების ზრდა.
- სავაჭრო და საგადასახდელო მდგომარეობის პროგრესი.
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვა.
- სამამულო საწარმოებში დასაქმებისა და შემოსავლების ზრდა.

განვითარებული ქვეყნის მთავრობები დაინტერესებულნი არიან პროგრესული დარგების განვითარებით. მათი ინტერესი ძირითადად მიმართულია შემდეგი სფეროებისკენ:

- მაღალ ტექნოლოგიური.
- საბანკო საფინანსო.
- სადაზღვევო და სამეწარმეო.
- მომსახურების სფერო.

სწორედ ამიტომ ინვესტორებიც ცდილობენ აღნიშნულ დარგებში მოახდინონ ინვესტირება, რაც სამომავლოდ მათ მყარ პოზიციონირებას განაპირობებს. ასევე ითვალისწინებენ გარემოებას, რომ სამომავლოდ აღნიშნულ ბაზრებზე შესვლა საკმაოდ გაურთულდებათ. ქვეყნის მთავრობებიც აღნიშნულ სფეროებში ხსირად აწესებენ შეღავათებს, საკანონმდებლო საგადამხდელო და სხვა მიმართულებით. აღნიშნული ურთიერთ თანამშრომლობა დადებით გავლენას ახდენს, ისე როგორც ინვესტორთა საქმიანობაზე და სამომავლო დაინტერესებაზე, ასევე მეორე მხრივ უზრუნველყოფს მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და სამომავლო განვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული რესურსების გამოყენების შედეგად მიღებული შემოსავლის ნაწილს იღებს ინვესტორი, მაგრამ მთელი არაპირდაპირი მოგება რჩება ინვესტირების მიმღებ ქვეყანას:

- ათვისებული საწარმოები, თანამედროვე ტექნოლოგიური ცოდნით აღჭურვილი სამუშაო ძალა.
- გადასახადების დაბეგვრით მიღებული შემოსავლები.
- სამომხმარებლო ბაზრის განვითარება.

ამის გარდა თვით მუშაკები არიან დაინტერესებულნი უცხოელ ინვესტორებთან საქმიანობით, რადგან მათ საწარმოებში უფრო მაღალი ანაზრაურების სიდიდე, სამუშაო გრაფიკი და სოციალური შეთავაზებებია სამამულო მწარმოებელთა პირობებთან შედარებით.

ინვესტიციები ხასიათდება მომიჯნავე დარგების განვითარების ეფექტით, რაც განპირობებულია ინვესტიციის მიმღები დარგის მოთხოვნებთან ფუნქციონირების პროცესში, რაც მომიჯნავე დარგებს აძლევს სტიმულს მოახდინოს საქმიანობის განვითარება და ეფექტურად და პროპორციულად უპასუხონ დარგის მოთხოვნებს.

ადგილობრივი საკმარისი კაპიტალის პირობებში, ინვესტირებისას „დამატებითი „ ინვესტიციები უზრუნველყოფენ ისეთი რესურსების გადანაწილებას სხვადასხვა მიმართულებით, რაც სხვა შემთხვევაში უფუნქციოდ დარჩებოდა .

ინვესტიციები როგორც დადებითი შედეგების მომტანი ეკონომიკის ნაწილი, ხელს უწყობს ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირებას, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდას, სავალუტო შემოსავლების მატებას, ახალი ტექნოლოგიური განვითარების ხელშეწყობას აგრეთვე მენეჯმენტისა და მარკეტინგის სფროების გამოცდილების გაზიარებას.

უცხოური ინვესტიციებით შექმნილი ახალი საწარმო, პირველად საწრმოო მასალებს ძირითადად იმპორტის გზით მოიპოვებს, სწორედ ამიტომ ქვეყნის სავაჭრო ბალანსზე ინვესტიციების იმპორტის გავლენა მოკლევადიან პერსპექტივაში უარყოფითად აისახება. რაც შეეხება გრძელვადიან პერიოდს, იგი ხელს უწყობს სავაჭრო ბალანსის ოდენობის ზრდას, რაც განპირობებულია საწარმოების მიერ იმპორტირებული საწარმოო მასალის ჩანავლებით ან ექსპორტის ზრდით.

ინვესტიციების გავლენა ქვეყნის საგადამხდელო ბალანსზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს. აგრეთვე ინვესტიციები ახდენენ მიღებული ფინანსური მოგების ქვეყნიდან გატანას, რაც ბალანსის წლიურ გასავალ ნაწილში აისახება.

ქვეყნიდან სახსრების გასვლას, ასევე იწვევს უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული პატენტებისა თუ ლიცენზიების იმპორტი, თუმცა საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესებას ხელს უწყობს, უცხოელი ინვესტორების მიერ საბაჟო გადასახადის დაბეგვრისა და სხვა საგადამხდელო ქმედებათა ერთობლიობა.

ქვეყნის მთავრობები ცდილობენ, შეუქმნან ხელსაყელი პირობები მიღებულ ინვესტიციებს, რაც განაპირობებს მოგების რეინვესტირებისთვის „სასათბურე გარემოს“ შექმნას, რაც შესაძლებელს ხდის ქვეყანამ ხელი შეუშალოს ინვესტორის საქმიანობიდან მიღებული კაპიტალის გადინებას. აღნიშნული პრობლემის წინაშე ქვეყანა არ დგება, ადგილობრივი ინვესტირების ან რეინვესტირების პირობებში.

ადგილობრივი ინვესტირება უცხოური ინვესტირებისგან განსხვავებით, არ აუარესებს საგადასახადო ბალანსს, რადგან უცხოური ინვესტიციებიდან განსხვავებით არ ხდება ინვესტირების პერიოდში შემოსავლების ქვეყნიდან გატანა, არამედ მიღებული შემოსავლები რეინვესტირდება სამამულო წარმოების დარგებში, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის შიგნით წარმოების განვითერება გაფართოებას. თუმცა ადგილობრივ ინვესტირებას აქვს უარყოფითი მხარეებიც, რაც გამოიხატება ტექნოლოგიური განვითარების შედარებით დაბალი დონით, აგრეთვე სამამულო

წარმოებებს არ აქვთ, საერთაშორისო კომპანიების ბრენდული სავაჭრო მარკების გამოყენების შესაძლებლობა.

უცხოური ინვესტიციები ხშირ შემთხვევაში გვევლინება როგორც ადგილობრივი ინვესტიციის გამომდევნ მთავარ კომპონენტად. ყოველივე ამის მიზეზად შესაძლოა განვიხილოთ უცხოური ინვესტიციების მოცულობის სიდიდე, რაც უზრუნველყოფს მასშტაბის ეკონომიას და დაბალი ზღვრული დანახარჯები კომპანიებს საშუალებას აძლევენ ფასის და ხარისხის ხარჯზე მოიზიდონ მომხმარებლები. ადგილობრივი წარმოება კი პირიქით, კლებადი მოთხოვნის გამო ამცირებენ წარმოებას ეზრდებათ ხარჯები ერთეულ წარმოებაზე, რაც საბოლოოდ ბაზარზე მათი უცხოური კომპანიებით ჩანაცვლებით მთავრდება. მაგრამ თუ ინვესტიცია საექსპორტო წარმოებაზეა ორიენტირებული, მაშინ იგი დიდ გავლენას არ ახდენს ადგილობრივ ინვესტიციაზე და სამამულო წარმოებაზე.

ადგილობრივი ინესტიციის განდევნას აქვს ორი მიზეზი :

- უცხოელი კონკურენტების მიერ წარმოებული ხარისხისა და მაღალპროდუქტიულობის გამო.
- უცხოელი ინვესტორების წვდომა საერთაშორისო ბაზრებზე და ფინანსურ რესურსებზე.

აღნიშნული მოცემულობის მიხედვით, პირველ შემთხვევაში ქვეყანა მომგებიან პოზიციაშია, რადგან მის ბაზარზე ოპერირებენ მაღალი ხარისხისა და პროდუქტიულობის კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების სტაბილურობას. მეორე შემთხვევაში კი ჩნდება დასაქმებულთა ოდენობის კლება, რომელსაც ადგილობრივი საშუალო და მცირე ბიზნესი აბალანსებს.

ინვესტირების პროცესის ეკონომიკური ზრდის კომპონენტად განხილვისას აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ინვესტიციის, როგორც ქვეყნისთვის პოტენციური საფრთხის მომტან კომპონენტზე, სადაც იგულისხმება ისეთი უცხოური

დაბანდებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყნის სტრატეგიული დარგების ინვესტორის ხელში გადასვლას, რაც ქვეყნისთვის არასასურველ შედეგებს მოიტანს.

ინვესტიციები დადებითად მოქმედებენ კონკურენციის დონის ზრდაზე ადგილობრივ ბაზარზე, რაც უზრუნველყოფს წარმოების მაღალპროდუქტიულობას, ფასების რეგულირებას, ინოვაციების დანერგვას, მაღალკვალიფიციური მუშა ხელს, რესურსების ოპტიმალურ გამოყენება გადანაწილებას .

მიუხედავად განხილული ურთიერთსაწინააღმდეგო ეფექტებისა ითვლება, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითია, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნები განსხვავებულად სარგებლობენ განხორციელებული ინვესტიციებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიცია თავისთავად არ წარმოადგენს უპირატესობას ან ნაკლოვანებას, მისი დადებითი ეფექტი დამოკიდებულია მიმღებ ქვეყანაზე. (4 გ. რევაზიშვილი „ პირაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი და უარყოფითი მხარეები“)

მიმღები ქვეყნის საინვესტიციო ზრდას განაპირობებს რამოდენიმე ფაქტორი:

- პოლიტიკური გარემო, რაც გამოიხატება ინვესტორებისადმი სახელმწიფოს მხრიდან მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვა განხორციელებში. ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა და სხვა.
- ეკონომიკური გარემო, რაც თავის თავში მოიცავს საგადსახადო შეღავათებს, იფრასტრუქტურის დონე, რეესურსების ზოგადი მოცულობა და მასზე წვდომა, ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის საერთო მოცულობა
- სოციალური გარემო, რომელშიც განიხილება: ზოგადი სოციაურ ეკონომიკური ფონი, დაქირავებულთა შრომითი კანონმდებლობის ასპექტები, კვალიფიკაცია რომელიც გააჩნია სამუშაო ძალას.

კონპანიების საქმიანობის ეფექტიანობა ყოველთვის არის დამოკიდებული სტაბილურ პოლიტიკურ გარემოზე. დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია და

ინვესტიციების დაზღვევის დაბალი დონე, ზრდის გაურკვევლობას საზღვარგარეთელი ინვესტორებისათვის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფორმით უცხოური კაპიტალის შემოსვლა ქვეყანაში, ითვლება ყველაზე უსაფრთხო და სასარგებლო ფორმად. იგი დაკავშირებულია სტაბილურობის შენარჩუნებასთან გრძელვადიან პერსპექტივაში.

საერთო ჯამში ინვესტიციებს ქვეყნისთვის დადებითი შედეგი მოაქვს, რაც გამოიხატება ახალი ტექნოლოგიების განვითარებაში, უცხოურ ბაზრებზე გასვლის შესაძლებლობაში, რაც თავის მხრივ განაპირობებს ქვეყანაში ფულადი სახსრების შემოდინებს. შესაბამისად ქვეყნები და მათ შორის საქართველო, დიდ ყურადღებას უნდა უთმობდნენ ინვესტიციების მოზიდვას, ხელს უნდა უწყობდნენ საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას.

თავი 3. ვაჭრობის ინვესტიციებისა და ეკონომიკური ზრდის თავისებურებები საქართველოში

3.1. საქართველოს საგარეო ვაჭრობა და ეკონომიკური ზრდა

საგარეო ვაჭრობის განვითარება და გაღრმავება წარმოადგენს საქართველოს სამომავლო ძლიერი ეკონომიკის უმთავრეს წყაროს, რადგან საგარეო ვჭრობის დადებითი სალდო ქმნის, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უმთავრეს წინაპირობას.

დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, აღნიშნული მიზნების მისაღწევად საჭიროა სახელმწიფოს აქტიური და სრული ეკონომიკური პოტენციალის ჩართვა. აღნიშნულ პროცესში, სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რომლის მთავარი მიმართულება საგარეო ვაჭრობაა.

მსოფლიო ბაზარზე საქართველო წარმოდგენილია მცირე ეკონომიკით, რომელიც ორიენტირებულია ტურიზმზე, სოფლის მეურნეობასა და ექსპორტზე. საქართველოში საქონელწარმოების გაზრდა გამოიწვევს ექსპორტის ოდენობის გაზრდას, საქონელწარმოების გაზრდას კი თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის მატებამ.

ბოლო წლებია საქართველოს საგარეო ვაჭრობის რაოდენობა იკლებს, რაც განსაკუთრებით ექსპორტზე აისახება. ამ დინამიკაში საინტერესოა და აღსანიშნავი ის გარემოება, რომ ექსპორტის სტრუქტურული ცვლილების ფონზე მიმდინარე კლების სტატისტიკა, გამოწვეულია არა მხოლოდ რაოდენობის შემცირებით, არამედ კლების გამომწვევი მიზეზების მატებით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია ბოლო წლებში, ახალი ბაზრების მოძიებასა და არსებულის დივერსიფიკაციაში საჭიროა, აქტიური მოქმედებები საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალური დატვირთვის და

მიმართულების კიდევ უფრო გაფართოებისთვის. რამაც უნდა უზრუნველყოს, საგარეო სავაჭრო ურთიერთობების დადებითი სალდო და ეკონომიკური ზრდა.

ექსპორტი საქართველოს საგარეო ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს, ხოლო ექსპორტის მსხვილ კომპონენტებს: ლითონები, მსუბუქი ავტომობილები (რეექსპორტი), თამბაქოსა და სპირტიანი სასმელების ნაირსახეობა, მედიკამენტები, აზოტოვანი სასუქები და ოქროს ნაწარმი. აღნიშნული საექსპორტო საქონლის მოცულობა 2020 წლის მონაცემებით კარგად ჩანს დიაგრამაზე.



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti

დიაგრამა 3.1.1 უმსხვილესი საექსპორტო საქონლის წილი მთლიან ექსპორტში 2020წელი 01-05თვის მონაცემი.

აღნიშნული დიაგრამა გვიჩვენებს, რომ 53.1% უჭირავს უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ერთობლიობას, სადაც სპილენძის მადნები იკავებს ყველაზე დიდ წილს

20.9%, მას მოყვება მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი(რეექსპორტი) 12%, ფეროშენადნობები 85%, ღვინო 5.8% და ძვირფასი ლითონები 5.4%. თუ აღნიშნულ მონაცემებს შევადარებთ წინა წლების მონაცემებს, მაგალითად 2018 წელს ვნახავთ, რომ სპილენძის მადნების ექსპორტმა მოიმატა 5.9%, მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა 0.2%, ძვირფასმა ლითონებმა კი 3.3%, ფეროშენადნობებმა მოიკლო 1.7%, ღვინის ექსპორტი კი არ შეცვლილა.



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti

დიაგრამა 3.1.2 ქვეყნების ჯგუფების წილი მთლიან ექსპორტში

დიაგრამაზე წარმოდგენილია ექსპორტის წილი 2020 წლის მონაცემებით, სადაც ყველაზე დიდი მოცულობა 43.3% დსთ-ის ქვეყნებს უჭირავთ . დსთ-ის ქვეყნებთან საქართველო თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით სარგებლობს 1994 წლიდან.

ხელშეკრულების გაფორმების შემდგომი რამოდენიმე წელი, არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული მასშტაბური საქონელბრუნვით და ვაჭრობის მოცულობით, თუმცა 2005 წლიდან დაფიქსირდა სავაჭრო მოცულობის ზრდა, რამაც განაპირობა მილიარდიანი ნიშნულის გადაკვეთა. 2017 წლიდან ორ მილიარდიან ნიშნულს გასცდა და აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნებულია დღემდე. ხოლო ევროვშირის ქვეყნებთან ექსპორტის წილი განისაზღვრება 22,2%. ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკულება გაფორმდა 2014 წელს. ევროკავშირთან ექსპორტის დადებითი დინამიკა შეინიშნება, რასაც ხელი შეუწყო აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებამ.

	2014	2015	2016	2017	2018	2019*
ექსპორტი - სულ	**2,861,045.2**	**2,204,188.6**	**2,113,044.3**	**2,735,778.5**	**3,355,712.2**	**3,769,429.1**
მათ შორის:						
ევროკავშირის ქვეყნები (EU)	624,201.4	644,729.9	565,653.3	655,407.1	730,688.9	819,343.5
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნები (CIS)	1,465,298.7	840,854.1	737,522.4	1,184,757.0	1,669,480.0	2,007,821.8

წყარო: საქსტატი

ცხრილი3.1.1 ექსპორტის წილი საერთო საექსპორტო მოცულობიდან (2014-2019)

აღნიშნულ ცხრილზე მოცემულია, ექსპორტის წილი საერთო საექსპორტო ბრუნვიდან 2014-2019 წლის პერიოდში, სადაც მეტნაკლებად ექსპორტის ზრდის დადებითი ტენდენციაა შენარჩუნებული. ევროკავშირის ქვეყნებში მატების დინამიკა შედარებით სტაბილურია სადაც გამონაკლისია 2017 წლის მონაცემი . აღნიშნული მატების ხელშემწყობ წინაპირობად შეგვიძლია მივიჩნიოთ საქართველო ევროკავშირს შორის 2014 წელს გაფორმებული ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ხელშეკრულება (DCFTA). რამაც ევროკავშირის ბაზრები ხელმისაწვდომი გახადა ადგილობრივი წარმოებისთვის. შესაბამისად ექსპორტის

მოცულობა დინამიკაში ზრდადია და იმედია გლობალური პანდემიის პირობებში აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნდება.

ზოგადი აექსპორტო მონაცემები კი შემდეგნაირად გამოიყურება.



წყარო: საქსტატი

დიაგრამა3.1.3 საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლების მიხედვით (2015- 2020 1-5)

დიაგრამა გვიჩვენებს ექსპორტის მონაცემებს პროცენტული მაჩვენებლით წლების მიხედვით, რაც თანხობრივად შემდეგნაირად გამოიყურება: 2015 წელს მთლიანი ექპორტი შეადგენდა 2204.2 მილიონ დოლარს, მომდევნო წელს უმნიშვნელო ცვლილება განიცადა და შეადგინა 2113 მილიონი დოლარი. 2017 წელს კი ექსპორტის მოცულობა გაიზარდა და 2735.8 მილონ დოლარამდე მიაღწია. 2018 წელი კიდევ უფრო დიდი პროგრესით გამოირჩეოდა და ექსპორტის მაჩვენებელმა 3355.7 მილიონი დოლარი შეადგინა. 2019 წელს წინა წლებთან შედარებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა და 3769.4 გაუთანაბრდა. აღნიშნულ დიაგრამაში მოცემულია 2020 წლის მხოლოდ პირველი მეოთხედის მონაცემები, რომელიც 1236.5

მილიონი დოლარია, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით გაუმჯობესებულია, თუმცა არსებული პანდემიის ფონზე იმედი ვიქონიოთ, რომ დანარჩენი კვარტლები დადებით შედეგებს მიაღწევს.

კოდი	სექციის დასახელება		2020*					
		იანვარი-მაისი	იანვარი	თებერვალი	მარტი	**I კვ.**	აპრილი	მაისი
	ექსპორტი - სულ	**1,236,597.9**	**262,649.4**	**263,616.8**	**251,896.4**	**778,162.6**	**223,160.6**	**235,274.7**
	მათ შორის:							
0	საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები	**107,087.5**	21,896.6	21,392.1	24,622.8	**67,911.6**	21,242.8	17,933.2
1	სასმელები და თამბაქო	**185,992.0**	33,999.5	35,061.9	40,568.5	**109,629.9**	35,267.6	41,094.5
2	არასაკვები ნედლი მასალები, საწვავის გარდა	**346,769.5**	73,380.6	48,660.1	81,582.0	**203,622.7**	62,350.2	80,796.7
3	მინერალური საწვავი, საცხები და მათთან დაკავშირებული მასალები	**5,632.2**	867.0	830.6	457.4	**2,155.1**	688.2	2,789.0
4	ცხოველური და მცენარეული ზეთები, ცხიმები და ცვილები	**9,732.0**	1,777.3	1,523.8	322.3	**3,623.4**	283.8	5,824.9
5	ქიმიკატები და მასთან დაკავშირებული პროდუქტები, სხვაგან დაუსახელებელი	**113,785.9**	21,439.5	20,325.3	21,304.7	**63,069.4**	32,803.4	17,913.0
6	სამრეწველო საქონელი (წაწარმი) ძირითადად კლასიფიცირებული შემადგენელი ნედლეულის მიხედვით	**166,906.4**	27,546.1	41,871.5	28,869.8	**98,287.4**	42,290.5	26,328.5
7	მანქანები და სატრანსპორტო მოწყობილობები	**204,137.4**	62,131.2	70,804.7	35,676.3	**168,612.1**	14,126.0	21,399.3
8	შერეული სამრეწველო საგნები (წივთები)	**57,100.7**	11,333.2	14,495.7	13,724.7	**39,553.6**	4,312.3	13,234.7
9	საქონელი, რომელიც სხვაგან არაა კლასიფიცირებული სვსკ-ში	**39,454.2**	8,278.3	8,651.2	4,767.9	**21,697.3**	9,795.9	7,961.0

წყარო: საქსტატი

ცხრილი 3.1.2 საქართველოს ექსპორტი საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის სექციების მიხედვით.

აღნიშნული ცხრილი გვიჩვენებს, 2020 წლის ბოლო ხუთი თვის ექსპორტის კლასიფიკაციას სექციების მიხედვით. ექსპორტის დიდი მოცულობა უჭირავს არასაკვებ ნედლ მასალებს. რომლის ექსპორტმა მაგალითად, მაისის თვეში 80796.7 ათასმა დოლარმა შეადგინა. საექსპორტო მონაცემთა სამაოდ დიდ წილი უჭირავს, მანქანებსის და სატრანსპორტო მოწყობილობების ექსპორტს. პირველ კვარტალში შეადგინა 168612.1 ათასი დოლარი თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი რომ აღნიშნული ექსპორტი ძირითადად რეექსპორტს წარმოადგენს. აგრეთვე საექსპორტო

მოცულობაში შესამჩნევი წილი უჭირავს, სასმელებისა და თამბაქოს ექსპორტს. მაისის თვეში თანხობრივად შეადგინა 41094.5 ათასი დოლარი, სადაც შედარებით მეტს სასმელების ექსპორტი წარმოადგენდა.

საგარეო ვაჭრობის უმთავრეს ნაწილს შეადგენს ასევე იმპორტი. საერთაშორისო ბაზრებზე წამყვანი ეკონომიკის ქვეყნებიც კი მიმართავენ იმპორტს, რადგან არ არსებობს ქვეყანა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს ან ადგილობრივ სამეწარმეო დარგებს.

იმპორტი ექსპორტთან მიმართებაში -სავაჭრო სალდო ქმნის, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს. იმპორტის მოცულობა დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, საწარმოო პოტენციალზე და დარგებზე, რომელზეც ადგილობრივი ბიზნესია ორიენტირებული, აგრეთვე საექსპორტო დარგების მიმართულებეზე, სადაც იმპორტირებული საქონელი შესაძლოა ჩართული იყოს, როგორც წარმოების დამხმარე ფაქტორი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგჯერ იმპორტი დადებით როლს ასრულებს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელში.



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/638/importi

დიაგრამა 3.1.4 ქვეყნების ჯგუფების წილი მთლიან იმპორტში

საქართველოში იმპორტი ჭარბობს ექსპორტს, რაზეც ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი სალდოც მეტყველებს, რომელიც ბოლო წლებში 5000 მილიონი დოლარის ფარგლებში მერყეობს. დიაგრამაზე 3.4 ნაჩვენებია ქვეყნის ჯგუფები იმპორტის მთლიან მონაცემებში, აღნიშნული იმპორტირების 32% ხდება დსთ-ის ქვეყნებიდან, რაც შეადგენს მაგალითად 2019 წლისთვის 2437063.6 დოლარს ევროკავშირის ქვეყნებიდან კი 24.3 იმავე წლის მონაცემით შეადგინა 2331500.3 დოლარი. დანარჩენი იმპორტი კი სხვა ქვეყნების წილზე მოდის.



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categorie s/638/importi

დიაგრამა 3.1.5 უმსხვილესი საიმპორტო საქონლის წილი მთლიან იმპორტში

საქართველოში განხორციელებულ იმპორტი განვიხილოთ მოცემული 3.5 დიაგრამით, სადაც მთლიანი იმპორტის 7.5% შეადგენს ავტომობილები, რომელთა

ნაწილი რეექსპორტზე გადის. შემდეგია სპილენძის მადნები 6.7%, ნავთობ პროდუქტები 6.6%, ნავთობის აირები 5.6% და ბოლოს მედიკამენტები 4.5%



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 3.1.6 საქართველოს იმპორტის მთლიანი მოცულობა (2014-2019წ)

დიაგრამა 3.1.6 გიჩვენებს, რომ 2015 წლისთვის იმპორტმა მოიკლო, ხოლო შემდგომ წლებში კვლავ მოიმატა, რაც თავის მხრივ უარყოფით გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე გამომდინარე ექსპორტის სიმცირიდან და უარყოფითი სავაჭრო სალდოს არსებობიდან.

საქართველო ბოლო წლების განმავლობაში და მომავალ წლებში, გამომდინარე მაღალი ეკონომიკური აქტივობიდან რეგიონალური მასშტაბით სავალუტო ფონდის შეფასებით შეინარჩუნებს მოწინავე პოზიციებს და საშუალო ვადიან პერსპექტივაში ეკონომიკურ ზრდას.



წყარო: https://mof.ge/images/File/Outlook-October-2018-GEO.pdf

დიაგრამა 3.1.7 მშპ-ს რეალური მაჩვენებელი რეგიონალური მასშტაბით

მშპ წარმოადგენს ეკონომიკური პარამეტრს რომელიც ზედმიწევნით ასახავს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპს. მშპ განსაზღვრავს საერთო მოცულობის წილს ერთ სულ მოსახლეზე. მოცემული დიაგრამის მნიშვნელობა ძალზედ მნიშვნელოვანია რადგან ქმნის რეგიონის საერთო სურათს. აღნიშნული დიაგრამა გვიჩვენებს მშპ-ს ზრდის პერსპექტივებს რეგიონული ქვეყნების დონეზე. დიაგრამის მიხედვით საქართველოს აქვს პერსპექტივა რეგიონში ლიდერ ქვეყანად იქცეს მშპს მოცულობის ზრდით. მშპ-ს ოდენობა ერთ სულზე საქართველოში 2015 წლიდან ფაქტობრივად მცირედით, მაგრამ მაინც იზრდება, რომლის მონაცემებიც შემდეგნაირად გამოიყურება 2015 წელს შეადგენდა 4012.6$ ხოლო 2019 წელს 4763.5, მათ შორის სხვაობა 750.9$. საქსტატის მონაცემებით 2020 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით არის 1017.1$. თუ ამ მონაცემს შევადარებთ სხვა წლების მონაცემებს დავასკვნით, რომ 2020 წელს შესაძლოა მშპ შემცირდეს, რაზეც დამატებით ცუდ გავლენას მოახდენს რეალურ დროში არსებული პანდემია.



წყარო: https://mof.ge/mshp_ekonomikuri_zrda

დიაგრამა 3.1.8 საქართველოს მშპ და ეკონომიკური ზრდა

მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს მშპ-ს და ეკონომიკური ზრდის ტენდენციას, რომელიც მოცემულია 2005 წლიდან 2019 წლის ჩათვლით. აღნიშნულ დიაგრამაზე მშპ-ს გააჩნია მზარდი მიმართულება, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ 2009 წელი, რაც გამოწვეული იყო 2008 წლის საომარი მოქმედებებიდან და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან. დადებითი ტენდენცია განსაკუთრებით მაღალია ბოლო წლების მონაცემებით. რაც შეეხება ეკონომიკურ ზრდას, 2005 წელს შეადგინა 9.6%, შემდგომ წელს 9.4%, ხოლო 2007 წელს ფიქსირდება ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 12.6%, თუმცა მომდევნო ორი წლის განმავლობაში მკვეთრ დაქვეითებას განიცდის და 2009 წელს უარყოფით ნიშნულამდეც ჩამოდის -3.7%, შემდგომ წლებში ზრდის დინამიკა მეტნაკლებად სტაბილურდება და ბოლო სამი წლის მანზილზე 5% მდე აღწევს.

თავი 3.2. უცხოური ინვესტიციების დინამიკა

და ეკონომიკური ზრდა

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, წარმოადგენს ყველა განვითარებადი ქვეყნის წინსვლის უმთავრეს ფაქტორს, ცხადია მათ შორის საქართველოც არაა გამონაკლისი.

უცხოური ინვესტიციები, ქვეყნის ეკონომიკისთვის აუცილებელ კომპონენტს წარემოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყანაში არ არის ყველა დარგი ათვისებული განვითარებული და სამრეწველო პოტენციალი დაბალია და განიცდის ფინანსური დანაზოგების დეფიციტს.

უცხოური ინვესტიციები შემოდის უცხოურ ვალუტაში და რაც ხელს უწყობს ეროვნული ვალუტის გამყარება სტაბილიზაციას.

საქართველო ინვესტიციების შემოსვლას უდგება ლიბერალური კუთხით, შესაბამისად საქართველოში ინვესტირება სირთულეს არ წარმოდგენს, რადგან კაპიტალის გადაადგილებაზე ფაქტიურად არ ხორციელდება კონტროლი.

ინვესტირების შემოდინებას ხელი ასევე შეუწყო, 90 ქვეყანაში უვიზო მიმოსვლის შეთანხმებამ, რამაც საქართველო აქცია ინვესტორებისთვის უფრო ხელმისაწვდომ ბაზრად.

ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში ვლინდება მის შემდგომ პარამეტრებზე:

- ეკონომიკური ზრდის ზემპზე ახდენს დადებით გავლენას.
- აძლიერებს ქვეყნის ინვესტიციურ აქტივობას.
- გავლენას ახდენს ტექნოლოგიური განვითარების პროცესზე.
- ქვეყანას საშუალებას აძლევს ეფექტურად გამოიყენოს ქვეყნის შრომითი და ბუნებრივი რესურსები.
- ზრდის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, საქართველომ დაიწყო ეკონომიკური პოლიტიკის ლიბერალიზაცია ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.

2005 წელს საქართველოში ამოქმედდა საგადასახადო კოდექსის ახალი მოდელი, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, ინვესტორთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. გაუქმდა ორმაგი დაბეგვრის სისტემა. სწორედ აღნიშნულმა ქმედებებმა, მკვეთრი ასახვა ჰპოვა ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე.

საქართველოში 2006-2008 წლებში, წინა წლებთან შედარებით ინვესტიციებმა რეკორდული მაჩვენებლებით მოიმატა. დარგის სპეციალისტთა აზრით, ყოველივე ეს გამოწვეული იყო, საინვესტიციო სწორი პოლიტიკით ან მყარი პოლიტიკური ვითარებით საქართველოში.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

მლნ. აშშ დოლარი

წელი	**სულ**	I კვ.	II კვ.	III კვ.	IVკვ.
1996	**3.8**	...	...	...	...
1997	**242.6**	38.8	48.5	97.0	58.2
1998	**265.3**	19.1	97.8	45.0	103.4
1999	**82.2**	19.4	22.3	20.0	20.6
2000	**131.2**	32.7	30.0	28.9	39.5
2001	**109.8**	20.0	30.8	29.8	29.2
2002	**160.2**	24.4	44.6	36.4	54.8
2003	**334.6**	56.3	80.4	83.4	114.4
2004	**492.3**	118.2	117.2	133.0	123.9
2005	**452.8**	88.6	104.8	79.6	179.7
2006	**1,171.2**	145.2	318.0	332.4	375.5
2007	**1,764.7**	330.8	375.3	470.6	588.0
2008	**1,575.2**	540.1	607.7	136.1	291.3
2009	**666.8**	114.5	178.3	179.1	194.9
2010	**865.6**	176.1	211.5	236.8	241.2

წყარო: საქსტატი

ცხრილი 3.2.1 პუი_ს მოცულობა წლების მიხედვით(1996-2010)

აღნიშნული მონაცემები სწორედ ინვესტიციების მატების სტატისტიკას გვიჩვენებს, სადაც აღნიშნულ წლებში ათას მილიონს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. 2009-2010 წლები კლების ტენდენციით გამოირჩევა, შემდგომი წლები კი, მეტნაკლები მატების

დინამიკით გამოირჩევა. 2009-2010 წლებზე დიდი გავლენა იქონია, რუსეთ საქართველოს შეიარაღებულმა დაპირისპირებამ და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა.

წყარო: საქსტატი

დიაგრამა 3.2.1 საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა (2010-2019)

მოცემული 3.2.1 დიაგრამა გვიჩვენებს ინვესტიციათა საერთო ოდენობას, წლების მიხედვით, სადაც 2011-2013 წლებში ინვესტიციების თითქმის ერთნარი მაჩვენებელია, რაც მილიარდს აჭარბებს და მცირედით ზრდადი ტენდენციისაა. 2014-2017 წლებში კიდევ უფრო იმატებს. აღნიშნულ წლებში 2014 წლის მეორე კვარტალში დაფიქსირდა ინვესტიციათა ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, რაც გამოწვეული იყო თიბისი ბანკის გასვლით ლონდონის საფონდო ბირჟაზე. ამ პერიოდში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, გაყიდა თიბისიში წილის მნიშვნელოვანი ნაწილი. გაყიდული წილები კი განაწილდა ისეთ აქციონერებზე რომელთა წილი 10% არ შეადგენდა, შესაბამისად შემცირდა უცხოელ ინვესტორთა ოდენობა თიბისი ბანკში და ამავდროულად ქართულ ეკონომიკაში. მიუხედავად ამისა 2014 წელი

ინვესტიციების ოდებობით 1837 მილიონი ყველაზე დიდი მაჩვენებელია, წინა წლებთან მიმართებაში.

2015-2016 წელს ინვესტიციების მცირედი კლება შეინიშნება, თუმცა მეტნაკლებად სტაბილურია.

2017 წელს საქსტატის მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეადგენდა 1962.6 მილიონ დოლარს, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. 2018 წლიდან მკვეთრად იკლებს და დაახლოებით 1265-67 მილიონ დოლარს შეადგენს. რაც შეეხება 2020 წლის პირველ კვარტალს იგი შეადგენს 165.4 მილიონ დოლარს, აღნიშნული მაჩვენებელი 2009 წლის შემდეგ არ დაფიქსირებულა, რაც საგანგაშო მაჩვენებელს შეადგენს, აღნიშნული მაჩვენებელი აცილებლად იქონიებს ნეგატიურ გავლენას, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე.



წყარო:https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

დიაგრამა 3.2.2 პუი უმსხვილესი ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2020

მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს სექტორების მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას 2020 წლის პირველ კვარტალში, სადაც უმსხვილესი სფეროა საფინანსო სფერო 57.4 %ით, რომელიც აერთიანებს ბანკებს სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს. შემდგომი 20.6%ით უძრავი ქონების სფეროა, რომელიც მოიცავს იჯარებს მომხმარებელთა მიმართ, მომსახურების გაწევას, ოპერაციები უძრავი ქონებით.

შემდეგი სექტორების სასტუმროებისა და რესტორნების სფერო 9,5%. აღნიშნული მონაცემები შემდეგ კვარტალში დიდი ალბათობით ნეგატიური მიმართულებით შეიცვლება. კავშირგაბმულობა 7.7% შეადგენს დანარჩენი სექტორები მოიცავს 4.8%.



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

დიაგრამა 3.2.3 უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები 2020 წლის მონაცემები

აღნიშნულ დიაგრამაზე მოცემულია ქვეყნები, მათ მიერ საქართველოში გაკეთებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, სადაც

გაერთიანებული სამეფო წარმოადგენს ყველაზე დიდ მოცულობით წილს. თუ თვალს გადავავლებთ წინა წლების სტატისტიკას ვნახავთ, რომ ნიდერლანდებთან ერთად იგი წარმოადგენდა უმსხვილეს ინვესტორს, შემდგომ ნიდერლანდებისგან განსხვავებით კვლავ დარჩა მთავარ ინვესტორად მაგალითად 2019 წელს 247783.7 ათას დოლარს შეადგენდა, რაც შეეხება ამერიკის საინვესტიციო მონაცემებს წლების განმავლობაში დადებით დინამიკას ინარჩუნებს.



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 3.2.4 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით(2019წ).

მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გადანაწილებას საქართველოს რეგიონების მიხედვით. დიაგრამაზე ნაჩვენებია 8 რეგიონი სადაც ინვესტიციათა ძირითადი ნაწილი დაბანდდა. მონაცემთა გაანალიზება გვიჩვენებს რომ ინვესტორების ძირითადი სამიზნეს ქვეყნის მასშტაბით თბილისი წარმოადგენს რაზეც ინვესტიციების საერთო მოცულობის 61% მოდის რაც

თანხობრივად 820,168.9 ათას დოლარს შეადგენს. შემდგომ ინვესტირების სიდიდით მოსდევს აჭარა 15%, რაც თანხობრივად 207,031.2 ათას დოლარს შეადგენს აღნიშნული ინვესტიცია აჭარაში ძირითადად მიმართულია ტურიზმის სასტუმროების და მშენებლობის მიმართულებით. შემდგომ სამეგრელო ზემო სვანეთი მოდის 6%. თანხობრივად 77,060.3 ათასი დოლარი აქაც წამყვანი დარგებია ტურიზმი მშენებლობა და სოფლის მეურნეობა. აგრეთვე 6% გურია 74,438.1 ათასი დოლარი, 5-5% ქვემო ქართლი 64,656.9 ათასი დოლარი და სამცხე ჯავახეთი 62,942.6 ათასი დოლარის ინვესტიციით ხასიათდებიან. აღნიშნულ რეგიონებში ინვესტიციები ძირითადად მიმართულია სოფლის მეურნეობაში 1% იკავებს იმერეთი და რაჭა ლეჩხუმი სადაც ინვესტიცია მიმართულია ტურიზმში.



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 3.2.5 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობა საქართველოში პერიოდის ბოლოს (3/31/2020)

2020 წლის პირველი კვარტალი ინვესტიციათა სიჭარბით არ გამოირჩევა, თუმცა არსებული პანდემიის პირობებში რამაც გამოიწვია ფაქტობრივად ყველა სფეროსა და ეკონომიკური მიმართულებათა შეფერხება, უმეტეს შემთხვევაში შეჩერება, ყოველივე ამის გათვალისწინებით ინვესტიციათა სტატისტიკური მონაცემები შესაძლებელია მაქსიმუმად ჩაითვალოს პესიმისტური პროგნოზების მიუხედავად, იმედი დავიტოვოთ რომ მომდევნო კვარტლები დადებითი დინამიკის იქნება.

მოცემული 3.2.5 დიაგრამა საიტერესოა. რადგან წარმოგვიდგენს საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების ფაქტიურად საბოლოო შედეგებს. განხილული გვაქვს ხუთი პროცენტულად ყველაზე დიდი ინვესტორი ქვეყნის მონაცემები.

3/31/2020წ მდგომარეობით საქართველოში ყველაზე დიდ ინვესტირება განახორციელა აზერბაიჯანმა რაც 4,009,171.4 ათას დოლარს შეადგენს. აღნიშნული ინვესტიციების უმეტესობა მიმართული იყო ენერგეტიკისა და ნავთობის ნედლეულის მიმართულებით. შემდგომ მოდის გაერთიანებული სამეფო რომლის ინვესტირებამ თანხობრივად შეადგინა 1,945,353.6 ათასი დოლარი. არნიშნული ინვესტიცია ძირითადად მიმართულია საფინანსო სექტორში და ენერგეტიკაში. შემცირების ტენდენცია შეინიშნება ისეტ სფეროებში როგორიცაა სასტუმროები და რესტორნები სამტო მოპოვებითი მრეწველობა ჯანმრტელობა და სოციალური დაცვა. შემდეგი ინვესტიციების მოცულობის მიხედვით ნიდერლანდია საიდანაც 1,632,109.1 ათასი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა ძირითადა მიმართული იყო ფინანსურ და სატრანსპორტო სფეროში. შემდეგია თურქეთი 1,173,283.9 ათასი დოლარით რომლის უმეტესი ნაწილი მიმართულია ენერგეტიკისა და ტურიზმის სფეროში. დინამიკაში ინვესტიციების შემიოდინებამ თურქეთიდან საგრძნობლად იკლო. შემდეგი ქვეყანაა კვიპროსი 1,118,390.6 ათასი დოლარით. ინვესტიცია მიმართულია სამშენებლო ტურიზმისა და მომსახურების სფეროში.

საერთო ჯამში საქართველოს ინვესტიციების შემოდინებას აქვს კლებადი დინამიკა, რაც გარკვეულწილად გამოიწვია გლობალურმა კრიზისმა, აგრეთვე მნიშვნელოვან

როლს თამაშობს ქვეყნის შიგნით არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და პოლიტიკური არასტაბილურობა.

საქართველო განვითარებადი ქვეყნის სტატუსის მქონე ქვეყანაა, რომელსაც სწრაფი ეკონომიკური განვითარება სჭირდება. ამისთვის უნმიშვნელოვანესი ფაქტორია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდა, მიუხედავად რეალურ დროში არსებული პანდემიისა, საქართველოს აქვს პოტენციალი ინვესტიციის მოზდვისა, რასაც ხელისუფლების მხრიდან რიგი ღონისძიებების გატარებაა საჭირო.

დასკვნა

საქართველოს საექსპორტო პოტენციალის შესწავლის, აგრეთვე ინვესტიციების მოზიდვის და ეკონომიკურ ზრდაზე მათი გავლენის გაანალიზებით შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გამოტანა:

გასული ათწლეული წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაციის აღმავალ პერიოდს, რამაც ხელი შეუწყო მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციური და მნიშვნელობითი სახის ცვლილებას.

სწრაფი ტემპით იმატებს იმ ქვეყნების ტრანსნაციონალური კომპანიები აგრეთვე ეკონომიკური აგენტები, რომლებიც ჩართულნი არიან საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტირების სფეროში. თავის მხრივ საქართველოც აქტიურად არის ჩართული ღნიშნულ პროცესში და იგი მზარდი ტენდენციით ხასიათდება თუმცა საგარეო ვაჭრობა აშკარად ჩამორჩება ინტენსივობით და მოცულობის ზრდით ვიდრე ინვესტიციები.

სტატისტიკურ მონაცემთა გაანალიზებით გამოიკვეთა, რომ საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები ქვეყნის ეროვნულ შემოსავლებსა და ეკონომიკურ ზრდაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ეროვნული პროდუქტის ექსპორტი ხელს უწყობს სამამულო წარმოების განვითარებას ზრდის წარმოების მოცულობას და ქმნის დამატებით სამუშაო ადგილს.

საერთაშორისო ვაჭრობა უზრუნველყოფს ქვეყანაში შეტანილი იყოს მოწინავე ტექნოლოგიები და გაუმჯობესებული საწარმოო საშუალებები. ასევე ხელს უწყობს ინოვაციური საქმიანობის განვითარებას. აძლევს ქვეყანას სტიმულს საერაშორისო კონკურენციის პირობებში განახორციელოს წარმოების ხელშემწყობი ღონისძიებები რაც ქვეყნის კონკურენტუნარიანობას განაპირობებს.

საერთაშორისო ვაჭრობასთან ერთად ინვესტიციების მოზიდვაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სამომავლო განვითარებაში რაც გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე.

საქართველოს გააჩნია რეალური პოტენციალი უცხოური ინვესტიციები მოიზიდოს და ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელ დარგებში გადაანაწილოს. რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ეროვნული ვალუტის დასტაბილურებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ქვეყნის სამეწარმეო პოტენციალის ამაღლებას და ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას

ჩემი აზრით ქვეყანამ ხელი უნდა შეუწყოს სასურველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებას უნდა შექმნას მყარი გარანტიები ინვესტორებისთვის რაც გამოიხატება საკანონმდებლო სასამართლო სისტემების მოწესრიგებაში სახელმწიფო რეგულაციების ლიბერალიზებაში, სამუშაო ძალის გადამზადებაში ინფრასტრუქტურის განვითარებაში ასევე ხელი უნდა შეუწყოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას.

ინვესტირების უპირატესობას საქართველოსთვის წარმოადგენს მთავრობის მიდგომა ბიზნესის მხარდაჭერაზე. დაბალი საგადასახადო განაკვეთები მარტივი შრომითი კანონმდებლობა მარტივი და მოქნილი საგადასახადო ადმინისტრირება.

საქართველოში ინვესტირების უარყოფით მხარეს წარმოადგენს შამუშაო ძალის არასაკმარისი კვალიფიკაცია, საფონდო ბირჟების ფაქტიური არ არსებობა, ბაზრის მცირე მოცულობა, სიღარიბის არასახარბიელო მაჩვენებელი, კომფლიქტური რეგიონების არსებობა, არამყარი პოლიტიკური ვითარება.

ჩემი აზრით ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელია მეტი ინვესტიციის მოზიდვისთვის მთავრობის ქმედითუნარიანი ნაბიჯების გადადგმა ამ მხრივ ლიბერალური პოლიტიკის გაღრმავება. რაც ხელს შეუწყობს ექპორტის მოცულობის ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სიხარულიძე დ, ჭარაია ვ, უცხოური პირდაპირი ივესტიციები: თეორია და საქართველოს გამოცდილება, თბილისი 2018, გვ 98
2. https://presmarymethuen.org/ka/dictionary/what-is-the-difference-between-a-brownfield-project-and-greenfield-projects/
3. აბულაძე გ., საქართველოს საექსპერტო პოტენციალის ამაღლების გზები გლობალიზაციის პირობებში, თბ.2018. გვ 15
4. https://forbes.ge/blog/214/pirdapiri-ucxouri-investiciebis-dadebiTi-da-uaryofiTi-Sedegebi
5. ოქოცვარიძე ა, ოქროცვარიძე დ, ვადაჭკორია მ, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ. 2009, გვ5
6. შენგელია თ, საერთაშორისო ბიზნესი, ლექსიების კურსი, გამომცემლობა უნივერსალი, თბ. 2011, გვ. 88-92
7. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საგარეო სავაჭრო პოლიტიკა. http://5.44.128.32/ge/economic-sectors/trade&type=print
8. საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიში 2019. თბ. 2020. https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2020/annual_report_2019_num.pdf
9. ყურაშვილი გ, ბარათაშვილი ე ქუთათელაძე რ, გვაჯაია ლ. საინვესტიციო მენეჯმენტი. 2011წ.
10. გრეგორი მენქიუ, კონომიკის პრინციპები, გამომცემლობა დიოგენე, თბ. 2008.
11. https://mof.ge/images/File/Outlook-October-2018-GEO.pdf
12. ბასარია რ., მესხია ი., გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები, თბ. 1995.
13. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti

14. ასლამაზაშვილი ნ. უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში, „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული˜საკონსულტაციო ცენტრი, კვარტალური მიმოხილვა, დეკემბერი 2005
15. http://eugeorgia.info/ka/article/586/gaertianebuli-samefodan-fdi-dziritadad-safinanso-seqtorze-modis/
16. კასრაძე თ. საინვესტიციო გარემო საქართველოში და ქვეყნის შიდა საინვესტიციო პოტენციალი, ჟურნალი ეკონომისტი, №5
17. ჭარაია ვ. საქართველოს ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ანალიზი პერსპექტივები, ეკონომიკა და ბიზნესი (2014)
18. https://forbes.ge/news/302/pirdapiri-ucxouri-investiciebi-saqarTveloSi
19. სამჭკუაშვილი ნ. დუდაური თ. ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარების ტენდენციები გლობალიზაციის პირობებში. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის შრომათა კრებული.თბილისი. 2018
20. საყვარელიძე რ. სარფიანად ვაჭრობის მოლოდინში. ჟურნალი ბიზნესი: მეთოდები, სტრატეგიები. №5. თბ. 2007.
21. http://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7
22. ყორღანაშვილი ლ. საქართველოს ექსპორტის კონკურენტუნარიანობის პრობლემა გლობალიზაციის პირობებში. ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თბ.. 2016
23. ბიძინაშვილი თ. ლომთაძე მ. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების გზები გლობალიზაციის პირობებში- თბილისი, 2017 წ.
24. https://gtu.ge/Library/Pdf/saerthashoriso.pdf
25. მიქაბერიძე თ, საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი განვითარების პერსპექტივები WTO-ს შეთანხმების საზღვრებში, თბ. 2016

26. თოდრაძე გ, ძებისაური ლ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს საგარეო ვაჭრობა, თბ.2019
27. აბესაძე რ., გლობალიზაცია და მისი ეროვნულ ეკონომიკაზე გავლენის ზოგიერ ასპექტი. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუსტის საერთაშორისო სამეცნიეროპრაქტიკული კონფერენციის მასალები, ტომი1, თბ. 2012
28. https://duf-obozrenie.ru/ka/elektronnye-platezhi/3-realnye-i-finansovye-investicii-realnye-i-finansovye-investicii-v.html